ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№ 61 (122) 6 აპრილი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» და გაზეთი «ილორი» გილოცავთ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

სერგეი კრემლიოვი

ლავრენტი-ბერია

მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

სან-პაულუ, ბრაზილია

12



მეგრული პოეზიის რაფსოდია

პოეტი ლაშა გახარია

5

ბაბრალ შინკუბა – აფხაზური სულის შემოქმედი

3

2010 წლის 31 მარტს საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი სულმნათი ზვიად გამსახურდია 71 წლის გახდებოდა

ვერ გახდა, რადგან ავადსახსენებელმა შევარდნაძემ და მისმა "კუდებმა" ჯერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს იარაღის ძალით, შემდეგ ზვიად გამსახურდია მოკლეს მიპარვით, ვერაგულად, ბანდიტურად. ახლა კი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ და მეთოდურად შლიან და ანადგურებენ საქართველოს ტერიტორიებს, ეკონომიკას, სულიერებას, ზნეობას, მორალს...

და მით სრულდება სომეხთა მრავალსაუკუნოვანი მზაკვრული ჩანაფიქრი!

ეს ქანდაკება ზუგდიდში 2001 წელს დაიდგა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას იდეითა და ინიციატივით.

31 მარტი ცოცხალი თარიღია, ჩვენ ის მხოლოდ წარსულის კუთვნილებად არ უნდა ვაქციოთ!

გენერალი მაზნიაშვილი ქართული ჯარის შესახებ

7

თემურ ქორიძე

გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებული ნაწყვეტით ვამთავრებთ კორნელი ბოროზდინის შესანიშნავი ნაწარმოების "სამეგრელო, სვანეთი" ბეჭდვას, რომელშიც ობიექტურადაა აღწერილი სამეგრელოს მოსახლეობის მძიმე ყოფა საქართველოს რუსეთთან გაერთიანების ქამამდე.

2010 წლის 31 მარტს საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი სულმნათი ზვიად გამსახურდია 71 წლის გახდებოდა

ვერ გახდა, რადგან ავადსახსენებელმა შევარდნაძემ და მისმა "კუდებმა" ჯერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს იარაღის ძალით, შემდეგ ზვიად გამსახურდია მოკლეს მიპარვით, ვერაგულად, ბანდიტურად. ახლა კი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ და მეთოდურად შლიან და ანადგურებენ საქართველოს ტერიტორიებს, ეკონომიკას, სულიერებას, ზნეობას, მორალს...

და მით სრულდება სომეხთა მრავალსაუკუნოვანი მზაკვრული ჩანაფიქრი!

ისტორიისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ის, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს წინ უსწრებდა ეპოქალური მნიშვნელობის ძვრები საქართველოს ცხოვრებაში. ქვეყანაში მიძინებულმა ეროვნულმა მოძრაობამ 1988-1990 წლებში გამოიღვიძა. საბჭოეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური **"გარდაქმნის"** კურსმა დააჩქარა **"წმინდა იდეის"** სახით არსებული, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება, რამაც თავის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაში...

...1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. არსებობა შეწყვიტა კომუნისტურმა მმართველობამ, რომელიც 1921 წლიდან დომინირებდა. ისმება კითხვა: რამ განაპირობა ხელისუფლების შეცვლა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა? ვინ იყვნენ ისინი? რამდენად გამოხატავდნენ საქართველოს მოსახლეობის ნებას?..

...სადავო არ არის, რომ 80-იანი წლების მიწურულს ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი მიღწევის გზები სხვადასხვა იყო.

ამ ხანებში იკვეთებოდა სხვადასხვა სოციალურ ფენათა ინტერესებიც. ორთოდოქს კომუნისტთა დაბნეულობამ, ლიბერალური მოძრაობის არამდგრადობამ და წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ერთგვარმა ნეიტრალიტეტმა ხალხის ცნობიერებაში ამოატივტივა ეროვნული ძალების მოსვლის აუცილებლობა, რამაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეროვნულ მოძრაობას – **"მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო"** – 1990 წლის არჩევნებში გამარჯვება მოუტანა...

...სახელწოდება **"მრგვალი მაგიდა"** ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ იყო შერჩეული და ერთიანობას, თანამოაზრეობასა და თანასწორობას გულისხმობდა...

შემდეგ... მიმდინარეობდა ცალკეული განაწყენებული პირის, სამხედრო დაჯგუფების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის გადაბირება და გარიგების პროცესი... მესამე ძალამ შესძლო ეროვნული ხელისუფლების ცალკეული პოლიტიკური ლიდერების გადაბირება.... მესამე ძალის მიერ საკმაოდ ღრმად იყო გათვლილი განხეთქილების შეტანა **"მრგვალი მაგიდის"** წიაღში, რომელმაც დენთის როლი შეასრულა ეროვნული ძალების ხელისუფლების დამხობაში.

დღეისათვის საზოგადოებრივ აზრში მტკიცდება მოსაზრება, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის უშუალო შემსრულებლებს ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული, ვისი ნების განმხორციელებლები იყვნენ. ისინი ბრმა იარაღად გამოიყენა მესამე ძალამ და ეს იმითაც დასტურდება, რომ უშუალოდ დამამხობელების ნაწილი ცოცხალი არ არის. ზოგი ციხის საკანში მოხვდა, ან იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა...

...ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწე ბევრ პიროვნებას სამშობლოსა და ხელისუფლებისათვის არ უღალატნია და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაუდენია, მთავრობის საწინააღმდეგოდ იარაღი არ მიუმართავს. თუმცა, საფუძველს მოკლებული არ არის აზრი იმის შესახებ, რომ ძალოვან სამსახურებში იყვნენ მოღალატე სულისკვეთების მქონე ადამიანები, რომლებიც წამოეგნენ ოპოზიციის ანკეტს და პირადი კეთილდღეობის თუ სხვა გარიგების მიზნით მონაწილეობა მიიღეს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში...

...საქართველოში კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აპოლიტიკური გახდა. მან ხელისუფლებისგან მხოლოდ სოციალური და, უმეტესად, საყოფაცხოვრებო პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვა. თუმცა იგი ვერ მიიღო, ამიტომ ისევ პოლიტიკას მიუბრუნდა და სახალხო რევოლუციის მამოძრავებელ ძალად იქცა.

ამიტომაც, მათი ლოგიკური კრიზისი მალე დაიწყო. ქართველ ხალხთან იარაღის ენით საუბარი შეუძლებელი იყო. ტალეირანისა არ იყოს: **"ხიშტები ძალიან კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯდომად"**...

...ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ე.წ. გამარჯვებულმა დემოკრატიულმა კოალიციამ ვერ შეძლო ქვეყანაში კონტროლის დამყარება. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

პირველი – ეროვნულ ხელისუფლებას და დამხობილ პრეზიდენტს მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შეიქმნა კიდევაც საკმაოდ კარგად შეიარაღებული სამხედრო ბაზა.

მეორე – კანონიერი ხელისუფლების განდევნას მოჰყვა რეგიონებში სეპარატისტული ძალების გააქტიურება, ახალი ხელისუფლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების შედეგებმა კი მიგვიყვანა ქართულ-აფხაზურ ომამდე,

მესამე – გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ვერ გამონახა საერთო ენა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებთან. ძალადობრივი საშუალებები დაუპირისპირა მას. სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აიყვანა ბრძოლა ე.წ. **"პროვინციულ ფაშიზმთან"** და სპეციალურად დაგეგმა სასტიკი ე.წ. სადამსჯელო აქციების ჩატარება საქართველოში.

მეოთხე – დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემსრულებლები (მხედრიონი, გვარდია და სხვა) ზვიად გამსახურდიას დამხობის საფასურად ითხოვდნენ ეკონომიკურად გარანტირებულ ცხოვრებას. მკვიდრდებოდა სახელისუფლებო რეკეტი, წესდებოდა წარმოება-ორგანიზაციებში დირექტორის მოადგილის სპეციალური თანამდებობა მხედრიონის ან გვარდიის წარმომადგენლისათვის.

მეხუთე – კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი ძალები ცდილობდნენ ჰქონოდათ მტკიცე პოლიტიკური დასაყრდენი ხელისუფლებაში და ამ მიზნით ქმნიდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებას იწყებდნენ ინტელიგენციის წარმოადგენლებიც...

ასე იწყებოდა საქართველოს რღვევა...

...საქართველომ უდიდესი პატივი მიაგო თავის ერთგულ შვილს და დიდ ერისკაცს, საქართველოს ზვარაკად შეწირულ მოღვაწეს.

ზვიად გამსახურდია, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პიროვნულ-ეროვნული სიდიადე და კიდევ ერთხელ მოუწოდა ერს სულიერი ერთიანობისა და თანხმობის, სიყვარულისა და რწმენისაკენ.

დრო ივიწყებს ზვიად გამსახურდიას ადამიანურ სისუსტეებს და წვრილმანებს. მომავალი თაობების მეხსიერებაში იგი დარჩება ხალხში გადასროლილი იდეებით, დაწერილი წიგნებით, მოგებული თუ წაგებული საქმეებით და თავგანწირვის მაგალითით.

ის ჭეშმარიტი ჭყონდიდელ-ცოტნეიდელია, **"აღმსარებელი მცნებათა უფლისა და დამდებელი სულისა საქართველოსა და მოყვასისათვის"**.

ამინ!

იგორ კვესელავა,
პროფესორი,
ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გაზეთ **"ილორის"** კომენტარი – მოდით, გავიხსენოთ: ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ჟამს აფხაზეთში სერიოზული მოთხოვნები იყო წამოწეული ამ კუთხის საქართველოდან გამოყოფის თაობაზე. მაგრამ, როგორც კი საქართველოში ობიექტური არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლების სათავეში დიდი კონსტანტინეს პირმშო, ასევე უდიდესი პიროვნება ზვიად გამსახურდია მოვიდა, აფხაზეთში მაშინვე მიწყდა ანტიქართული საპროტესტო გამოსვლები. ეს ლოგიკურიც იყო – არ შეიძლებოდა იმ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, რომელიც ლამის აღმერთებდა აფხაზურ სულსა და მორალს, გაზრდილიყო პიროვნება, რომელიც სათანადოდ არ დააფასებდა ამ ჭეშმარიტად მებრძოლი სულისკვეთების მქონე და ღვთიურ სიმართლესთან წილნაყარი ხალხის გულისთქმას.

სწორედ ამან შეაშფოთა შევარდნაძე და სხვა იმპერიული ძალები და მათ იმ სამაჩაბლოში შესძლეს საპროტესტო ტალღის აგორება, რომელთათვისაც ისე მახლობელი არ გახლავთ ქართველი ადამიანი, როგორც აფხაზისათვის.

დაიწყო ცხინვალის ომი, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული დისონანსი შეიტანა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საქმიანობაში, რადგან მათ არ გააჩნდათ არც ომში და არც მშვიდობის ჟამს ხელისუფლების გაძღოლის დიდი გამოცდილება. ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი შეგვეგებებინა ეროვნული ხელისუფლებისათვის, ქვემეხი და ტყვია დავუშინეთ მათ და, სამწუხაროდ, არ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ თურმე მაშინ საკუთარ თავს ვესროდით...

გვიან შევიგნეთ!

ერთხელ, როცა 80-იანი წლების დასასრულს ბიჭვინთაში დრამატურგთა სემინარზე ვიყავი მიწვეული, აფხაზმა მეგობრებმა მოგვაკითხეს და რესტორანში შესანიშნავი სუფრა გაგვიშალეს. უკვე იძაბებოდა სიტუაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის. ვქეიფობდით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს ქეიფს კი არა, ერთმანეთთან დამშვიდობებას უფრო ჰგავდა. ჩემსკენ გადმოიხარა შესანიშნავი აფხაზი პოეტი ალექსი გოგუა და ჩამჩურჩულა:

– არ ვიცი, სად მიგვიყვანს ყოველივე ეს, მაგრამ ვიცი, რომ საქართველოს გარეშე აფხაზები დავიღუპებით...

დავიბენი, იმდენად გამაოგნებელი იყო ჩემთვის ამ ადამიანის განცხადება, რომლის ყველა საჯარო გამოსვლაში ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის აუცილებლობა. თურმე უნდა მეპასუხა:

– აფხაზეთის გარეშე საქართველოც დაიღუპება!

არ ვუპასუხე და ცუდადაც აგვიხდა ყველაფერი.

შევარდნაძის მიერ დაგეშილ-დაფინანსებული ბანდიტები ცეცხლითა და მახვილით შევარდნენ აფხაზეთში და იქიდან, ნაძარცვ-ნაოხრალ ლუსტრებსა და სხვა ქონებასთან ერთად ათეულ-ათასობით ცხედარი და სამასი ათასამდე ლტოლვილი **"გამოაყოლეს"** ხელს. Iქაც ბევრი აფხაზის ცხედარი დატოვეს (საუკუნო ხსენება მათ სახელებს!)...

აფხაზეთის ომი სამარცხვინოდ დაიწყო და სამარცხვინოდ დამთავრდა, მაგრამ არა შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომელთაც საკმაოდ მოითბეს ხელი ამ კამპანიაზე, არამედ საქართველოსათვის!

აფხაზეთის ომი სამარცხვინოდ გრძელდება, მაგრამ არა სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომლებიც სარფიანად ითბობენ ხელს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა ჰუმანიტარულ დახმარებებზე, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის!

გაიგეთ ხალხნო! საქართველოს მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოსა და აფხაზეთს ერთად ვერ დააჩოქებდნენ და ამიტომაც მოსწყვიტეს საქართველოს ეს ძირძველი მხარე და უსულგულო, ჯიშ და სქესგამოცლილი მანქურთებისა და ვიგინდარების საჯირითოდ აქციეს დიდი ისტორიული წარსულის მქონე ჩვენი ქვეყანა!

დააკვირდით, აფხაზეთის გარეშე საქართველო უკვე ლამის სულს ღაფავს ამ საერთაშორისო ინტრიგანებისა და ფულს დახარბებული მანქურთებისა და ვითომ გაქართველებული სომხების ხელში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების გზას ევროპასა და ამერიკაში ეძებენ!

აფხაზებმაც კარგად იციან, რომ მათაც საკმაოდ დიდი საფრთხე ელით...

ყველა ქართველმა და აფხაზმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს გამთლიანების ამერიკასა და ევროპაზე გამავალი გზა მხოლოდ ერევანში თუ ჩაგვიყვანს!

აფხაზეთში მიმავალი გზა კი მხოლოდ რუსეთსა და სამეგრელოზე გადის!

როლანდ ჯალაღანია,
ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

ციტატა-შეხსენება

"დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისათვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის, ქართული სულის ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა..."

ალექსანდრე ჭაჭია,
2001 წლის 12 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ შინკუბა – აფხაზეთის ღირსეული შვილები

აფხაზური სულის შემოქმედი

ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ერთმანეთის პატივისცემას, უფრო სწორედ, თავიდან უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისადმი პატივისცემა და სიყვარული.

რას ნიშნავს ეს?

შეიძლება ბაგრატ შინკუბა დიდი სიმპათიით არ იყო განწყობილი საქართველოსა და ქართველების მიმართ, მაგრამ იგი აფხაზეთის დიდი შვილია, და თუ ჩვენ გვსურს კიდევ ერთხელ დავუდასტუროთ აფხაზებს ჩვენი ძმობა და მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისადმი პატივისცემა, მაშინ პატივი უნდა ვცეთ მის ყველა შვილს, რომელიც აფხაზეთის კეთილდღეობისათვის იბრძოდა. აფხაზი შვილების საქციელის და მიზანდასახულობების გაკრიტიკების მორალური უფლება მხოლოდ აფხაზებს აქვთ და ჩვენ ყოველთვის უნდა გავუწიოთ ანგარიში აფხაზი ხალხის დამოკიდებულებას საკუთარი პატრიოტებისადმი. მხოლოდ მაშინ მივაღწევთ მყარ ურთიერთგაგებას, რაც კვლავ ერთ ოჯახად შეკრავს ამ ორ ძმურ ერს.

კმარა, აფხაზებსა და ქართველებს შორის განხეთქილების შემომტანი კონკრეტული დამნაშავეების ძებნა – ეს სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს! როგორც ჩანს, შავი ლაქები დავიწყებას უნდა მივცეთ, უნდა გადავძალოთ პირადი წყენა და ანტიპათიები და ახალი გზები ვეძებოთ ჩვენს დასაახლოებლად.

ჩვენში განხეთქილების შემომტანი კონკრეტული დამნაშავის ძებნა და გამოაშკარავება მხოლოდ ზიზღსა და ერთმანეთისაგან გაუცხოების სინდრომს აძლიერებს. თუ ჩვენ გვიყვარს აფხაზები, მაშინ ვალდებული ვართ გვიყვარდეს ყველა მისი ღირსეული შვილი, თუნდაც იგი საქართველოსადმი დიდ პატივისცემასა და სიყვარულს არ ამჟღავნებდეს. დაე საკუთარი ღირებულებები ქართველებმა და აფხაზებმა დამოუკიდებლად გადააფასონ და ურთიერთმისაღები დასკვნები გააკეთონ...

როგორც იტყვიან, სიყვარული სიყვარულის წილ!

სხვა გამოსავალი არც ჩვენ გაგვაჩნია და არც აფხაზებს. ჩვენ თავიდან უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. სხვაგვარად ერთმანეთისადმი ნდობას ვერასოდეს აღვადგენთ!

ცნობილი აფხაზი მწერალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ბაგრატ ვასილის ძე შინკუბა 1917 წლის 29 აპრილს დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში. ხელმოკლე მშობლებმა ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ მათ პირმშოს შესაბამისი განათლება მიეღო. ბაგრატმა უკვე ბავშვობაშივე გამოავლინა სწავლისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიჭი, მეცადინეობების შემდეგ და საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გამოაქვეყნა მოთხრობების წიგნი, რამაც მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბაგრატმა 1939 წელს დაამთავრა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და მთელი სიცოცხლე მწერლურ მოღვაწეობას მიუძღვნა.

1953 წლიდან 1958 წლამდე იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. ამავე წელს კი იგი აირჩიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი საპასუხისმგებლო თანამდებობა მისგან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა, ბაგრატს არასოდეს გაუშვია კალამი ხელიდან. მან ჯერ კიდევ 1950 წელს გამოიცა მისი ლექსად შექმნილი რომანი **"ჩემი თანამემამულენი"** და პოემა **"კლდის სიმღერა"**, რომლებიც გამოირჩევიან ეროვნული თვითმყოფადობით, სტილის სისადავითა და ჩანაფიქრის სიცხადით. ორივე ეს ნაწარმოები 1965 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე და სოლიდური ტირაჟით გამოიცა, რაც აფხაზი შემოქმედის დიდ პოპულარობაზე მეტყველებდა. ახალგაზრდა პოეტის ლექსები მართლაც განუმეორებელი იყო და დიდი ალღო სრულიადაც არ სჭირდებოდა მის გამორჩევას და ამოცნობას. ბაგრატის მთელი ძალისხმევა სათქმელის გამჟღავნებას, განწყობილების შექმნას ემსახურებოდა და გულწრფელად, მინდობილად ემსახურებოდა სამშობლოსა და მშობელ ხალხს.

1974 წელს ბაგრატ შინკუბამ უაღრესად საინტერესო ეპიკური ნაწარმოები უძღვნა აფხაზეთის ძირძველ მკვიდრ უბიხთა ტრაგედიას – გამოიცა მისი ვრცელი რომანი **"უკანასკნელი უბიხი"**, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა და ორჯერ გამოიცა ასიათასიანი ტირაჟით 1977 და 1981 წლებში. მე-19 საუკუნეში უბიხთა თავს დატრიალებული უბედურება ქართველი და აფხაზი ხალხის საერთო ტრაგედია იყო, რაც იმითაც დადასტურდა, რომ აღნიშნული წიგნი რამდენიმე დღეში გაიყიდა და გაქრა წიგნის მაღაზიათა თაროებიდან.

მამულით არის შთაგონებული მისი ვრცელი შემოქმედების ყოველი სტრიქონი. მამულის უკვდავება შემოქმედისათვის ენის უკვდავებასთან არის გაიგივებული. სამართლიანადაც, რადგან ეს მოტივი წითელ ხაზად გასდევს მის ყოველ ნაწარმოებს. მიუხედავად წარმატებული პოლიტიკური საქმიანობისა და მაღალ თანამდებობაზე ყოფნისა, ეს უპირატესობა ბაგრატ შინკუბასათვის დალხენილ ყოფას კი არ გულისხმობდა, არამედ მისი კეთილდღეობისათვის დღენიადაგ ზრუნვასაც. ხოლო, თუ უბიხების ბედით დადარდიანებულ ადამიანს სამშობლოს გადარჩენის დარდიც ემატება, მართლაც გოლგოთაზე უფრო ციცაბოდ ჩანს ამ ტვირთის სახიდი გზა. მაგრამ არც ციცაბო და არც ტვირთი არ აკრთობდა შემოქმედს, პირიქით, ბედნიერიც კი ჩანდა, რადგან ეს მისია არგუნა ბედმა.

1982 წელს ბაგრატ შინკუბამ რომანი **"გაპობილი ქვა"** მიუძღვნა აფხაზეთის სოფელში მომხდარ სოციალურ გარდაქმნებს, რამაც სავსებით დამსახურებული დიდება მოუტანა ავტორს. ბაგრატ შინკუბას ყველა ნაწარმოები თარგმნილია რუსულ და მსოფლიოს სხვა ხალხთა ენებზე.

ბაგრატ შინკუბა 1958 წლიდან 1978 წლამდე იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რა პერიოდშიც მას ყოველდღიურად უწევდა სოციალური პრობლემებით დამძიმებული თანამოქალაქეების მიღება, მოსმენა და მათი დახმარება. ეს კი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა შემოქმედისაგან, რომლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ერთი წამითაც არ შეუნელებია თავისი საყვარელი სამუშაო.

1968 წელს ბაგრატ შინკუბას ნაყოფიერი სამწერლო მოღვაწეობისათვის მიენიჭა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია. 1958-1961 წლებში ბაგრატ შინკუბა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ამავე დროს იყო სსრკ V, X და XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ბაგრატი სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და სხვა სახელმწიფო მედლებით. თავისი მრავალმხრივი და მდიდარი შემოქმედების წყალობით იგი ახალგაზრდობაშივე იქნა აღიარებული აფხაზეთის სახალხო პოეტად.

ბაგრატ შინკუბას ახლო მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა ცნობილ ქართველ პოეტებთან და მწერლებთან. მისი დიდი მეგობარი და თანამოკალმე იყო დიდი ქართველი პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს, საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ აფხაზი და ქართველი ხალხის პრობლემებზე, მუდამ ეძებდნენ დაძაბული სიტუაციის განმუხტვის საშუალებებს. ბაგრატი დიდ პატივს მიაგებდა ქართული მწერლობის ბერმუხას კონსტანტინე გამსახურდიას და აფხაზი ხალხის დიდ მეგობრად და გულშემატკივრად წარმოუდგენდა მას საზოგადოებას. თავის მხრიდან, სულმნათი კონსტანტინეც მაღალ შეფასებას აძლევდა ბაგრატ შინკუბას კალამს, არაერთი გამოხმაურება და თბილი წერილი დაუწერია მის უკვდავ ნაწარმოებებზე...

ბაგრატი ასევე მეგობრობდა ქართველ მწერალ ნოდარ დუმბაძესთან, რომელიც მამის რეპრესიის შემდეგ აფხაზურმა ოჯახმა შეიკედლა და უპატრონა. აფხაზების მიმართ სიყვარული და მადლიერება ნოდარ დუმბაძის მრავალ ნაწარმოებში წარმოჩენილი, განსაკუთრებით იმ წერილში, რომელიც ნოდარმა ქართველი პოეტის შოთა შოთა ნიშნიანიძის ლექსის **"კანტატა აფხაზეთზე"** დაწერა, რომელიც აფხაზურ ოჯახში გატარებულ მის ბავშვობას დაუკავშირა და კიდევ ერთხელ მოიხსენია დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მის მფარველ ანგელოზებად ქცეული აფხაზი ცოლ-ქმარი.

როგორც ვირტუოზი პიანისტის მსმენელისათვის, საშემსრულებლო ტექნიკა თავისთავად საგულისხმო და სრულიად უეჭველია, მთავარი კი ნაწარმოების სიღრმისეული გახსნაა. ასევე ჭეშმარიტი შემოქმედის, ამ შემთხვევაში ბაგრატ შინკუბას მკითხველისათვის უფრო მნიშვნელოვანი სწორედ ავტორის ცხოვრებისეული ღრმა და შთამბეჭდავი ხილვაა, მისი ფილოსოფიური წვდომაა, იმ განწყობილების ზიარებაა, რაც არსებით და ახალ შთაბეჭდილებებს შეუქმნის, ან ახლებურად განაცდევინებს სინამდვილეს, მართალი აზრით და წრფელი გრძნობით დატვირთავს მას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატ შინკუბას ცხოვრება და ღვაწლი მშობლიური აფხაზებისა და აფხაზეთისათვის ამოუწურავია და იგი კვლავ არაერთი ახალი მეცნიერული თაობის გულმოდგინე კვლევის საგანი გახდება!

როლანდ ჯალაღანია
საპატიო დოქტორი,

გაზეთ "ილორის" კომენტარი: *სამწუხაროდ, გარკვეულ გარემოებათა გამო ჩვენ ვერ მოვახერხეთ ყოვლისმომცველი მასალების მოძიება აფხაზეთის შვილ ამ დიდ შემოქმედზე და მხოლოდ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ მწირ ინფორმაციას დავჯერდით. არა და, აუცილებელია, რომ არც საქართველოსა და არც აფხაზეთში დავიწყებას არ მიეცეს იმ მამულიშვილთა სახელები, რომელთაც მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაუტოვეს ჩვენს ხალხებს. ვიმედოვნებთ, რომ აფხაზი მეგობრები გაითვალისწინებენ ჩვენს თხოვნას და სისტემატურად გადმოგვიგზავნიან ბიოგრაფიულ მონაცემებს როგორც ბაგრატ შინკუბაზე, ასევე აფხაზეთის სხვა ღირსეულ შვილებზე, რომელსაც დიდი სიამოვნებით გავაცნობთ ქართველ და აფხაზ მკითხველს.*

ალიო მირცხულავა
აფხაზური

ხალასი ვარ, ალმასი ვარ, დედისერთა ლამაზი ვარ,
მე ლაფშაზე არა ვზივარ, ქარს გავაფრენ – გავაზი ვარ.
არ გეგონოს: ძალაზე ვარ, ან ჩერქეზი, ან ლაზი ვარ,
არც ისეთი ლამაზი ვარ, არც ხალასი ალმასი ვარ,
მაგრამ მაინც აფხაზი ვარ.
ოჯახი მაქვს ძალიანი, ოდა ცისფერთვალიანი,
ეზო ფორთოხალიანი, ბაღი ფორთოხალიანი, –
ნალია, ვით ბროწეული, სკდება ამ წლის მოწეულით,
ჯერნებიც მყავს ოცეული, შემოსილი ძოწეულით.
ტახტი მიდგას ქონგურისებრ, ტახტზე, კიდევ ჩონგური წევს,
სატრფიალო დასაკრავი, ხშირად გულში ჩასაკრავი.
ჩემი ბედი შენ ყოფილხარ, საქორწინოდ შემკობილხარ.
სხვა სიმდიდრე აღარ მინდა, აღარ მინდა მე მზითევი,
ჩემი სოფლის ხვავიც მყოფნის, სახლში ძლივსღა ვეზიდები.
ჰაიტ, ჩემო აფხაზურა, გასჭერ ქარი ალმასურად,
ხიდზე გადი ჯამბაზურად, წაგოგმანდი მალხაზურად!
წადი, ნუღარ გეხათრება, ეს რა ჯადო გეხლართება?
ფეხს ნუ ადგამ, ალალია, ეს დაიას დალალია.
განა გიმტრო დაიამა, ჩემმა ვარდმა და იამა,
გაგაჯავრა დაიამა და მით გული დაიამა!
მომყავს ჩემი თეთრი ქალი, თვალფიროზა, მკერდფიქალი.
სამეგრელოს ბაღნარიდან, ოჯალეშის მაღლარიდან, –
ჰე, რა სიმწრით, რა სიავით მოვიტაცე ეს ნიავი!

1947 წელი.

აფხაზეთი რომ არ დაგვავიწყდეს

ააფსთა – მდინარე გუდაუთის რაიონში.

აბააჟვახუ – სოფელი ოჩამჩირის რაიონში.

აბააქითი – სოფელი ოჩამჩირის რაიონში.

აბაი – მთა ბზიფის ქედზე.

აბაცვახუ – მთა გუდაუთის რაიონში.

აბახუამწა – სოფელი გუდაუთის რაიონში.

აბგავერა, აბგარა – სოფლები გუდაუთის რაიონში.

აბლუხვარა – სოფელი სოფელი გულრიფშია რაიონში.

აბჟაფრა – სოფელი ოჩამჩირის რაიონში.

აბჟაყვა – სოფელი სოხუმთან.

აბრსკილის მღვიმე – მდებარეობს ოჩამჩირეში.

აბჟარქუხი – სოფელი გუდაუთის რაიონში.

აგეფსთა – მდინარე გაგრასთან.

აგვავერა – სოფლები გალსა და ოჩამჩირეში.

აგიში – სოფელი გულრიფშთან.

აგუბედია – სოფელი ოჩამჩირესთან.

აგურიბზა – მდინარე სოხუმთან.

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

შემდეგ იაკოვლევი ამ ამბავს რეზიუმეს უკეთებდა: **"ჟდანოვი შემდეგ გულიანად იცინოდა ამ საშინელ ანეკდოტზე"**.

სამწუხაროდ, ალექსანდრე სერგეის ძე იაკოვლევი ამ ამბის შინაარსს ვერ ჩასწვდა ღრმად, მაგრამ, მოდით ჩვენ მაინც გავერკვეთ, ძვირფასო მკითხველო. თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ იაკოვლევის მიერ ეს მემუარები იწერებოდა მაშინ, როცა ყველაზე პირწავარდნილი ზარმაცი და უქნარა არ აგინებდა ბერიას და ლაფში არ თხვრიდა მის სახელს. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ დროს შეთხზულ ნებისმიერ მოგონებებში ლავრენტი ბერია წარმოდგენილი იყო მხოლოდ როგორც იმპერიალიზმის აგენტი და უაღრესად უარყოფითი პიროვნება. მაშინ ხომ ლამის მოდად იქცა ნებისმიერ ნაწარმოებსა თუ თავყრილობაზე ბერიას ლანძღვა. ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ ამგვარ მოგონებებში რეალურად ასახულიყო ბერიასთან დაკავშირებული მოვლენები.

მოდით, გავაგრძელოთ განსჯა...

როგორ ვიფიქროთ, – ჟდანოვი, რომელმაც ამგვარი საშინელი ანეკდოტის მოთხრობისას გულიანად იხარხარა, როგორ გგონიათ, მორალურად მახინჯი, ზომიერების გრძნობას მოკლებული და ბოროტი პიროვნება იყო?

სრულიადაც არა! იმიტომ ხარხარებდა, რომ ამგვარი ისტორია იმ ადამიანისათვის, რომელიც კარგად იცნობდა სტალინს და ბერიას, პირწმინდად აბსურდული იყო, რომელსაც არავითარი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნდა. ეს იგი, მონათხრობი წმინდა წყლის ანეკდოტია, მაგრამ...

მაგრამ – ვაღიაროთ, რომ იგი მახვილგონიერი და მართლაც სასაცილოა.

როცა იაკოვლევის მონათხრობი მე კიდევ ერთხელ გადავხარშე გონებაში (მე იაკოვლევს სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდი, მე ეს მონათხრობი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ შევაფასე და დავინახე მისი **"სიმართლე"**), მე გავიხსენე კიდევ ერთი მსგავსი სიტუაცია. Vლადიმერ ლენინი ერთხელ გარშემომყოფთ სიცილით მოუყვა ვიღაცისაგან მონათხრობ სასაცილო ანეკდოტს. ვიღაცას ეკითხებიან: **"რითი დამთავრდება ბოლშევიკური რევოლუცია?"** პასუხი შემდეგია: წაიკითხეთ სიტყვები **"ურო, ნამგალი"** ბოლოდან (აქ ასოების თამაშია. რუსულ ენაზე, სიტყვები – **молот, серп** _ იკითხება როგორც – **"Престолом"**, რაც **"ტახტის შემმუსვრელს"** ნიშნავს).

ამას რომ ჰყვებოდა, ლენინი თურმე სიცილით იგუდებოდა. რა, ამიტომ იგი ფარული მონარქისტი იყო? არა, ლენინი სულიერად ჯანმრთელი ადამიანი იყო და შეეძლო ეხარხარა მტრის მიერ მოგონილ სასაცილო ამბავზეც კი – თუ ეს ამბავი ჭკვიანური იუმორით იქნებოდა გაჟღენთილი.

სიტყვამ მოიტანა, და ლენინმა უაღრესად მადალი შეფასება მისცა რევოლუციისადმი დაუფარავი სიძულვილით გაჟღენთილი თეორგვარდიელის არკადი ავერჩენკოს მიერ შექმნილ წიგნს **"რევოლუციის ზურგში ჩაცემული 12 ლახვარი"**, რომელიც 1921 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ **"პრავდაში"**. ვლადიმერ ლენინმა წითელი ფანქრით წააწერა გაზეთს: **"ძალიან ნიჭიერად დაწერილი წიგნია"**. როგორ, ლენინი ფარული კონტრრევოლუციონერი იყო?

და ანეკდოტი სტალინის ჩიბუხის თაობაზე?

ამ ანეკდოტში კარგად გამოჩნდა გარკვეული წრეების ზიზღისმიერი დამოკიდებულება სტალინისა და სოციალიზმისადმი და მათი დაუოკებელი სურვილი, რაც შეიძლება მეტად ეცნოთ ამ ორი ფენომენის ავტორიტეტისათვის. სწორედ ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორებს ვაშლებით გაწყობილი შემწვარი ბატი და ერთი ბოთლი კონიაკი ერჩივნათ... ასეთი ანეკდოტი შეიძლებოდა გამოეგონებინა რომელიმე ტროცკისტს, მაგრამ მასზე მაინც გაიცინებდა ჟდანოვი. იგი შეეძლო უშუალოდ დაუძინებელ მტერსაც შეეთხზა. მაგრამ საკმაოდ ჭკვიან მტერს. ამ მართლაც მახვილგონიერ ანეკდოტის შექმნას ხომ საკმაოდ დიდი ჭკუა და გონების დაძაბვა სჭირდებოდა! მის მიღმა ხომ ვიღაც კონკრეტული პიროვნება იდგა! მაგრამ, რუსეთში ჯერ კიდევ ცარიზმის დროს თავსაყრელად იყვნენ ამგვარი თავშესაქცევი და სასაცილო ისტორიების მთხზველები, რომლებიც შემდეგ **"ლამაზად"** დასცინოდნენ საბჭოთა კავშირსაც. მათი შთამომავლები კი, გვიან სოციალისტურ ეპოქაში, ასევე **"ლამაზ"** ანეკდოტებს თხზავდნენ საბჭოთა კავშირსა და სოციალიზმზე, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაკვეთით, მაგრამ, მეოცე საუკუნის 60-80-იან წლებში ჩვენს სამშობლოზე შეთხზული ანეკდოტები დიდად არ განსხვავდებოდნენ მწარე რეალობისაგან...

მაგრამ, ჭირსაც წაუღია ყველა ანეკდოტი და სახელდახელოდ შეთხზული სასაცილო ამბავი! მოდით, თვალი მივადევნოთ სტალინის ლოგიკას. მაგალითად, როგორც ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები ა. ტოპტიგინი ამტკიცებს, ახალი კადრების შერჩევისას სტალინი ლოგიკურად მოქმედებდა. **"თუნდაც ამ ადამიანის ლოგიკა ჩვენთვის მიუღებელი იყოს** (ტოპტიგინის მიერ ჩაწერილი სიტყვა **"ჩვენთვის"** ნაცვლად სიტყვისა **"ჩემთვის"**, აშკარად გაუგებარია – ს. კრემლიოვი), **ეს ლოგიკა მაინც არსებობდა"**. და სამწუხაროდ, ა. ტოპტიგინს ასე წარმოუდგენია სტალინის ლოგიკა: **"შეერჩია ჭკვიანი და საქმიანი თვისებების მქონე ახალგაზრდობა, რომელიც მისი ერთგული და მითვის თავდადებული იქნებოდა და ძირითადად საკუთარი ტყავის გადარჩენაზე იზრუნებდა"**.

სამწუხაროდ, აქ თავად ა. ტოპტიგინს ღალატობს ლოგიკა. საკუთარ წიგნში მას იმის უამრავი დოკუმენტური მტკიცებულება მოჰყავს, რომ ბერიას დაკავებულ თანამდებობებზე ღირსეულად ეჭირა თავი როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მხრივ, ასევე პიროვნულად და კარიერას იკეთებდა არა ინტრიგების ხლართვისა და მლიქვნელობის გზით, არამედ საკუთარი საქმიანი თვისებების წყალობით. და უცებ...

არა, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი საკადრო პოლიტიკაში ნამდვილად არასდროს არ სცდებოდა და მისი ლოგიკა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ საკითხში ალექსეი ტოპტიგინის შეხედულებებს.

საქმე – სხვათა შორის – იმაშიცაა, რომ უკვე ეჭვი არავის ეპარება ერთ ფრიად ცნობილ და გახმაურებულ ფაქტში: **ჯერ კიდევ ბერიას მოსკოვში გამოძახებამდე სტალინმა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტის დაკავება რამდენჯერმე შესთავაზა ვალერი ჩკალოვს.**

რატომ?

რატომ მაინც და მაინც მას? ვალერი ჩკალოვი – ჯერ ერთი – მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ადამიანი გახლდათ და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში. საკუთარ სამშობლოში კი იგი თავდავიწყებით უყვარდა ხალხს და... სარგებლობდა ჭეშმარიტი რაინდის უმწიკვლო რეპუტაციით.

მოდით დავფიქრდეთ: სტალინი, რა, ჩკალოვს შესთავაზებდა **"ყოვლისმმუსვრელის"** როლს რათა მას გაენადგურებინა ბევრი რამის მცოდნე ეჟოვი და მას დაქვემდებარებული პირები?

ეს ხომ სისულელეა!

რახან სტალინმა ეს თანამდებობა ჩკალოვს შესთავაზა, ესე იგი, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად მას შემდეგი თვისებებით აღჭურვილი ადამიანი სჭირდებოდა:

წესიერი და გულწრფელი;

ბ) ვისაც ხელი არ იქნებოდა გასვრილი ადამიანების სისხლით;

გ) შრომისმოყვარე;

დ) უკომპრომისო;

ე) ხალხისა და პირადად სტალინის ერთგული;

ვ) კადრი, რომელიც კარგად ერკვეოდა სამეურნეო საკითხებში.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ თანამდებობაზე სტალინს ჩკალოვი ესახებოდა, ნათელი გახდება, რომ შინსახკომის სათავეში სტალინს სჭირდებოდა უაღრესად ნათელი ფიგურა, რომელიც საფუძვლიანად გაწმენდდა სისტემას იაგოდასა და ეჟოვის მიერ ჩადენილი შეცოდებებისაგან.

ჭეშმარიტი გმირი, საბჭოთა ხალხისათვის უაღრესად საყვარელი გმირი, წოდებითა და მოწოდებითაც საბჭოთა კავშირის გმირი, ტექნიკურ საკითხებში ძალზე გაცნობიერებული ადამიანი, შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნამდვილი რაინდი ჩკალოვი ნამდვილად შეეფერებოდა ამ თანამდებობას და იგი იქცეოდა არა საპარადო ფიგურად, არამედ საქმის მკეთებელ სახალხო კომისრად, მაგრამ...

მაგრამ ჩკალოვმა უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე...

და სტალინმა ამოირჩია ბერია. მას არ ჰქონდა ჩკალოვის მსგავსი შთამბეჭდავი ბიოგრაფია, მაგრამ, როგორც საქმისათვის თავდადებული მშრომელი ადამიანი, იგი, რა თქმა უნდა, ჩკალოვზე ბევრად ძლიერი და პერსპექტიული გახლდათ.

როგორ ფიქრობთ, იოსებ სტალინი, რომელიც ჯერ ცდილობდა ამ პოსტზე ვალერი ჩკალოვის დანიშვნას, მოიწვევდა კი საბჭოთა კავშირის შინსახკომში მთავარ პოსტზე ბერიას, კავკასიის ლიდერს რომ ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში ჯალათისა და ინტრიგანის რეპუტაცია ჰქონოდა?

არა მგონია!

ლავრენტი ბერიას ჰქონდა ყველასათვის ცნობილი ჩეკისტური ბიოგრაფია – მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ შინსახკომის შექმნამდე (ვიდრე მენჟინსკის მთავარი პოლიტსამმართველო ამ უწყებად გადაკეთდებოდა) დაატოვებინეს ოპერატიული სამსახური და პარტიულ სამუშაოზე დააწინაურეს. მისი ცხოვრების ამ პერიოდში ბერიას მხრიდან რაიმე ინტრიგებს რომ ჰქონოდა ადგილი, ეს თუნდაც მის არაოფიციალურ ბიოგრაფიას დააწვებოდა მძიმე ტვირთად. ამრიგად, არასოდეს ჰქონია ადგილი ინტრიგებს, ისევე, როგორც არასოდეს უწარმოებიათ საქართველოში დაკითხვის სადისტური მეთოდები, რომელიც თითქოსდა ლავრენტი ბერიას მიერ იყო წახალისებული. და ფრიად სარწმუნოა, რომ ბერიას სუფთა ხელების თაობაზე ყველაზე კარგად თვით შინსახკომმა უწყოდა.

ასე რომ, სსრკ შინსახკომის თანამდებობაზე ჩკალოვის მიერ უარის თქმა და ამ პოსტზე ბერიას დანიშვნა, ჩემის აზრით, ბერიას დადებით სახეზე მეტყველებს, მიუხედავად არქივების თაროებზე შემოწყობილი სხვა შინაარსის დახასიათებებისა.

უკვე ჩვენს დროში შეითხზა რიგი ცილიმწამებლური ვერსიებისა იმის თაობაზე, რომ ვალერი ჩკალოვის დაღუპვაში ლავრენტი ბერიას ხელი ერია, მაგრამ ეს იმდენად უხეში ცილისწამებაა, რომ მე მის ანალიზზე მკითხველს დროს არ დავაკარგვინებ. მხოლოდ იმას შევახსენებ მკითხველს, რომ ჩკალოვი ტრაგიკულად დაიღუპა 1938 წლის 15 დეკემბერს, მაშინ როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად მისი დანიშვნის საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ იყო მოხსნილი, რადგან ამავე წლის 25 ნოემბერს სახალხო კომისრად უკვე ლავრენტი ბერია დაინიშნა.

ბერიას როლს ორმაგ ჭრილში განიხილავენ რეპრესიულ პოლიტიკაში მისი შინაგან საქმეთა კომისრად დანიშვნის შემდეგ. ერთი ჭრილია ის, რომ ბერიას დროს მოხდა რეპრესიების ტალღის შესუსტება. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ უკანონო რეპრესიები ხორციელდებოდა ბერიას ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგაც. ეს, რა თქმა უნდა, არის კიდევ ერთი ნაძირალური ანტიბერიასეული მითი.

კიდევ ერთხელ თუ გადავხედავთ ჩვენს მიერ უკვე დამოწმებულ, ჩემის აზრით უაღრესად საეჭვო ცნობას, რომელიც შედგენილია სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი სპეცგანყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოლკოვნიკ პავლოვის მიერ 1953 წლის 11 დეკემბერს, მასში აღნიშნულია, რომ 1937-1938 წლებში თითქოსდა სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა 681.692 ადამიანს, ამავე ცნობაში ვკითხულობთ, რომ 1939-1940 წლებში სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა მხოლოდ 4.201 ადამიანს.

არა მგონია, რომ ბერიას სახალხო კომისრად მუშაობის პერიოდში დახვრეტილთა რიცხვი ვინმეს შეგნებულად შეემცირებინა. აი, ეს ციფრი რომ შეგნებულად გაებერათ, უფრო **"ლოგიკური"** იქნებოდა.

მოკლედ, თუ გავითვალისწინებთ, რომ:

– უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა საქმიანობა ძალზე გააქტიურდა მსოფლიო საერთო სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების კვალდაკვალ;

– ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემოვიდნენ დასავლეთ უკრაინა, დასავლეთ ბელორუსია, ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა, ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა, სადაც, რა თქმა უნდა, უხვად იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები (მხოლოდ ბანდერელები რად ღირდნენ);

– 1939 წლის დასასრულს და 1940 წლის დასაწყისში მძვინვარებდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი;

– გააქტიურდა დასავლეთის წრეების საქმიანობა კავკასიისა და სამხრეთის ნაციონალურ რესპუბლიკებში (ინგლისელებსა და ფრანგებს 1940 წელს შემუშავებული ჰქონდათ ბაქოსა და ბათუმის დაბომბვის გეგმა).

– საბოლოოდ არ იყო აღმოფხვრილი პოლიტიკური ბანდიტიზმი, განსაკუთრებით ბასმაჩობა (მთლიანად მისი აღმოფხვრა მხოლოდ 1945 წელს მოხერხდა),

მაშინ გამოდის, რომ ოთხი ათასი – სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის დახვრეტილი ხალხის რიცხვი – არც თუ შთამბეჭდავია.

უფრო მეტიც!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).

მარა, ალაჟამილცალო,
ირო ალმორდ სქანი შიში,
ჯასგთ ვახუჯუ, ქოკითხენი,
მერგუაფა ბინეხიში:

ვართ მუშ ორო აჩინებე,
ვართ – შქირშქინი ყალეფიში,
სილექინეს მიანატრგ –
უბინეხე ჯალეფიში!..

მათ თაშ ვორდი, უსქანეთგ,–
ოხვამეში ცხაცხუცალო,
ჩხე რკინასგ ვაბლოტკგნდი –
ოჭკადგრეშ ალიცალო,

შხვაშ ლაფშასგ ვათვოჭკადგდი
–
ათოშირილ ნალიცალო,
ვართ ბედიშა გიტყაბარედ –
ტყარ ბულიში კანიცალო!

ჩქიმ ხე ჭვიმა გიმოჭვენდგ,
გიმოთგნდ ჩქიმი თია,
მასქურ ggმაქურჩინგდგ –
ბორიაში მუნარქია;

ართ მაფუდუ ცა დო დიხა,
ურკვანე დო ნარკვანია,
დუდშა ლუხარ მემიძგდგ,
ტყაშმაფაში ალნარკია.

მარა... სი მის ოხანუა
ბედ-მურიცხიშ მეჯინასგ,
მაჭარიში წისაფას დო
ყოროფილიშ მენჯირასგ...

ოცადუქგ ბორჯიშ ჯიმუ
ურჯუმქ ჯამურც ეჯიმასგ...
უხამეთგ ოხამუა
ღურუშ დუნაპეჯინასგ.
* * *
ღუმენჯ უნჯეთ ქელემნჯირი,
ვართ ბურდღ მიგორ დო ვართ
ბარდღა.
შუმიცალო შულადირცგ
ქათომიყოთ ლურქუ გარდღა;

ხათე თოლჭეს ქიმშებობრკი,
მარა თეშირდ აკნაბანდღა...
გუმაკურცხინ, თუთუმ მეპკირ –
თუნშიაშე ეშნაფართხა.

კვეც გორილი ვამაფუდუ,
კარ მუნანჯი კვარჩხანინი,
ggმათუაშ თუთაცალო
გობშათ მუნიბარჩხალინი.

გურქ ვამაჩინ, უკუმელა
მუ ჭყანათი აჩხანინი,
სინთეშ ggთოჭვათაფაშა
სოლე ggმიტკარჩალინი!

ვორწყედ, შხვაშა მინჭაფული,
შხვა გაფუდუ ოშანალი,
უსქოლადგ ლახარათგ
ოჭვალი დო ოჟამალი;

მორთომებულ ოხვამესგ
ოჭყალი დო ოხვამალი,
საპირსელოთ მერჩქინელი,
მუმულცალო ოყვარალი!

მაგრამ ჟამი-ჟამისად, მე,
მაინც მქონდა შენი შიში...
ხეს სულაც არ სიამოვნებს –
ვაზის ტანზე შემოხვევა.

ვერც თავის ჩრდილს იცნობს
მერე,
ვერცა თავის ტოტთა შრიალს,
შეშურდება სიმსუბუქე –
ვაზ-აუსვლელ ხეებისა...

ისე ვიყავ მეც უშენოდ,
როგორც ცაცხვი სალოცავი...
და ცხელ რკინას არ ვლოკავდი,
ვით სამჭედლოს ცეცხლის ენა.

არც სხვას ვეგე ფეხქვეშ, რო-
გორც
ცხენის ნალი გაცვეთილი,
ბედის ტყავს არ ვატყავებდი
ველური ბლის კანივითა.

ჩემი წილი წვიმა მ-წვიმდა,
ჩემი წილი თოვლი მ-თოვდა,
თავზე სიო მევლებოდა –
მასქურივით მონაბერი.

ერთი იყო ცა და მიწა,
შეკმაზულ-შეუკმაზავი,
თავქვეშ მეგდო მე ხისა ჯორკო
ტყაშმაფაში დანატირი...

მაგრამ შენ ვის რას დააცლი –
ბედვარსკვლავის ყურებასა,
მაჭრის დაგემოვნებასა,
საყვარელთან დაწოლასა.

ჟამთა ჯამით და მარილით
აძმობილებ ბოროტ-კეთილს
და უხანჯლოდ იგერიებ
ცელშემართულ სტუმარს-
სიკვდილს.
* * *
წუხელ ადრე წამოვწექი,
არც მახსოვდა საქონელი,
შრომით დაღლილ-გადაქანცულს
გამომიდო ძილმა სარმა.

მაშინათვე სიზმრის ბადე
შემომხვია და გამხლართა...
გავაღვიძე და თუთუნი
თუნშიადან ამოვფერთხე.

კვესი ვერც კი მოვიძიე,
რომ გაიღო მარცხნივ კარი
ღვინობისთვის მთვარესავით –
სავსე რომ შემობრდღვიალდი.

მე ვერ მივხვდი, ეს სიბნელე
თუ რა ძალიათ გაანათე
და მზის სხივთა მოფენამდე,
ვისთან გადაიტკარჩალე.

ვიცი, სხვისკენ ისწრაფვოდი,
სულ სხვა გყავდა დასანიშნი,
სულ სხვა გყავდა მძიმე სენით
დასადაგი, მოსაჟამი.

სულ სხვა გყავდა სალოცავში
დასაწყევლი, დასალოცი,
საპირსელოდ მიჩენილი
მამალივით დასაყვერი...

კოლხეთის მისტერია

ჟურნალის ეკა ჯაფოშვილის ეს წერილი სამიოდ წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ "დიოსკურიაში", მაგრამ იგი საინტერესოა და ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შევთავაზოთ ჩვენს მკითხველებს.

"ვარდს გაეფურჩქნა კოკორი",– გაშლის პროცესში მყოფი თეთრი ვარდი ამავე დროს გრაალის თასია, ანუ საწმინდარი უფლისა, საიდანაც ვარდის კეთილსურნელებად აღევლინება დედამიწიდან ზეცის მიმართ დედამიწის წმინდა სულისა და ამ სულის მატარებელი ადამიანების წმინდა ლოცვები, ანუ დედამიწიდან ზეცაში აღვლენილი სუფთა, ნათელი, თეთრი ენერგია, სვეტი-ცოცხალის, სინათლის ველი, რასაც დედამიწაზე ადამიანთა წმინდა ცხოვრება და მათი სულების მუდმივი ლოცვითი მდგომარეობა განაპირობებს.

საქართველოს მიწის კოსმოგონიური შინაარსი გამოხატულია კოლხეთის მისტერიის სიმბოლიკურ ემბლემაში. მისი კონფიგურაცია ასეთია: გარშემოწერილი სამყაროს ჯვარი, როგორც სამყაროს შექმნის სიმბოლო. ჯვრის კვეთის ადგილში დედამიწაზე ოქროსფერი ცხვრის ტყავი, ანუ **"ოქროს საწმისის"** სიმბოლოდ გადაჭიმულია კოსმოგონიური ქვეყანა საქართველო. საქართველოს შუაგულში გრაალის თასის ფორმა-გამოსახულებით გაშლილია თეთრი ვარდი, რომელიც უფლისა და ყოველი წმინდა სამების სიმბოლური ნიშანია ამ მიწასთან მიმართებაში. ია ლურჯი იისფერია. დედამიწა ლურჯი ცისფერია, საქართველოს კონტურებშია გამოსახული ოქროს ვერძის ტყავის ფერში. ჯვარი უფრო მუქი ოქროსფერია. ჯვრის კვეთის ადგილში ელვარებს ნათლისფერი გრაალის თასად გაშლილი თეთრი ვარდი, საიდანაც არაბუნებრივი ცეცხლისფერი ნათელი (ცეცხლოვანი ნაპერწკლების სახით) იღვრება ზეცის მიმართ. ადამიანი, რომელიც შესძლებს სიმბოლოებს მიღმა არსებული რეალური ჭეშმარიტების სრულყოფილად დანახვას (ჭვრეტას) და მის განცდას, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სული ზიარებულია კოლხეთის მისტერიის საიდუმლოს და, მაშასადამე, იგი ამ მისტერიის **"ხელდასხმულიც"** არის.

ამ ყველაფერთან მიმართებაში, რეალური ფაქტების და ამ ფაქტების მიღმიერი ცხოვრების კვალდაკვალ თქვენი



ყურადღება უნდა მივაპყროთ წითელი **"კვერცხის"** სიმბოლურ მნიშვნელობას. ხაზი უნდა გავუსვათ კიდევ იმას, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაფერი რომ აღწერილიყო და ისტორიულ ფაქტობრივ წყაროებად ყველაფერიც რომ დღევანდლამდე შემორჩენილიყო, მაინც შეუძლებელი იქნებოდა იმის აღნუსხვა და გადმოცემა ადამიანური შესაძლებლობებით, რასაც სულის ამოუხსნელი და ულევი **"არქივი"** იტევს. ვინც შესძლებს სულის ეს უძირო მასშტაბები და მისი შინაარსობრიობა ცოტათი მაინც შეიმეცნოს, მისთვის იმისი გაცნობიერება, რის გადმოცემასაც აქ ვცდილობთ, უფრო ადვილი და გასაგები იქნება. მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამყაროსა და კაცობრიობის უდიდეს საიდუმლოებებს სწორედ კაცობრიობის სულის მეხსიერება და ზეცნობიერული ხსოვნა ატარებს და არა კაცობრიობის ფიზიკური გონი (ქვესკნელი-სკნელი-ზესკნელის შესაბამისად ზოგადად ადამიანის მეხსიერებაშიც არსებობს ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზეცნობიერი).

ბიბლიური სიბრძნე გვასწავლის, რომ დასაბამიდან, ჯერ კიდევ წუთისოფლის შექმნამდე იყო იესო ქრისტე განწესებული კაცობრიობის მხსნელად, როგორც **"დაკლული კრავი": "რომელიც წუთისოფლის შექმნამდე იყო წინასწარ განწესებული, მაგრამ უკანასკნელ დროს მოევლინა თქვენი გულისთვის"** (I პეტრე, 1-20). განა კაცობრიობის გონს შესწევს უნარი იმ საიდუმლოს ამოხსნისა, რაც ამ სახარებისეული აზრის მიღმა იმალება. თურმე, სანამ წუთისოფელი შეიქმნებოდა, უკვე **"რაღაცის"** გამო საჭირო იქნებოდა მომავალში კაცობრიობის გამოხსნა იესო ქრისტეს მიერ და ამგვარი წუთისოფელიც **"რაღაც"** მიზეზით და რაღაც მიზნით არსებობს, რადგან გამოსახსნელი და გადასარჩენი გამხდარა კაცობრიობა ჯერ კიდევ წუთისოფლის გაჩენამდე. გადარჩენა და გამოხსნა კი სჭირდება იმას, რაც დასაღუპად არის განწირული რაღაც მდგომარეობის გამო. ვფიქრობთ, სახარებისეული იგავი მეცნიერების სიღრმისეული გააზრებით ჩვენს წინაშე იჩენს თავს კითხვა იმ მიზეზისა, რამაც გახადა კაცობრიობა და წუთისოფელი გადასარჩენი და გამოსახსნელი, რომლის გადარჩენაც მხოლოდ თვით ღვთის ხელით შეიძლება აღსრულებულიყო და თანაც თავისი შინაარსიდან

გამომდინარე ეს ყოველივე შესაქმისეულ პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. გონიერი სული თვითონ გაიაზრებს ამ მიზეზის რეალურად არსებობის ფაქტს. სამყაროს ჯვარცმა და სიკვდილის შემოსვლა სამყაროში – აი, მიზეზი ამგვარი წუთისოფლისა და ღვთის ძის მიერ ჯვარცმა-სიკვდილით კაცობრიობის გამოხსნისა. ჯვარცმული სამყაროსა და ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლური ფერი მეწამულია, ანუ სისხლისფერია.

ეკა ჯაფოშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ადამიანი ასოცხრაეგს ცლეგს

“ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია, ყველა სიძნელეზე ძლიერია ადამიანი” –

ვიქტორ კერნბახმა ეს კალამბური საქართველოს უზვიადესი მწვერვალებისა და ამ მწვერვალებთან მცხოვრები გულმამაცი ერის გაცნობისას წარმოთქვა.

ყველა სიძლიერეზე ძლიერია ადამიანი... უნებურად გახსენდება ეს სიტყვები სახელოვანი ქართველი ავიაკონსტრუქტორის, სამეგრელოს ღირსეული პირმშოს ბესარიონ ქებურიას მოგონებისას.

იგი არასოდეს ყოფილა თიხა და არც ბიბლიურ ღმერთს შთაუბერავს ჟინიანი სული მის სხეულში. უძველესი კოლხეთის ამაყი სისხლი კოლხმა გლეხკაცმა საველ ქებურიამ გააღვიძა მის არსებაში და მაძიებელი სული განუსხეულა მანდილდალოცვილმა კოლხმა დედამ – ეკა ქებურიამ.

მერე... ვინ იფიქრებდა თუ ადრე თანასოფლელთათვის ყოველთვის ცელქი და დაუდეგარი პატარა ბესიკო თვით გააცოცხლებდა უამრავ თარიღს და ხალხის ხსოვნაში ნათელ ფურცლად განასხეულებდა.

1898 წელი, ორენბურგი, არა საჰაერო, არამედ რკინიგზის მშენებლობა.

1905 წელი ისევ რკინიგზის, ბორჯომი-ყარსის მაგისტრალის მშენებლობა. გამომგონებელთა ბიუროს ჩამოყალიბება...

1908 წელი – პირველი აფრენა. თბილისი.

“1908 წლის მაისის მზიანი დილაა, წერს ვარლამ როდონაია თავის წიგნში “პირველი ფრთები”, დიდუბის ეკლესიის წინ, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ამჟამად საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია, ზღვა ხალხს მოუყრია თავი: ღელავენ, მოუსვენრობენ, ერთმანეთს ხშირ-ხშირად გადახედავენ და ჯერ განუცდელი გრძნობით აღტაცებულნი თვალმოუშორებლივ გასცქერიან მინდორს”.

– როგორ, ნუთუ მართლა შესძლებს ეს სასაცილო **“ბამბუკის ეტაჟერკა”** დედამიწას მოსწყდეს და ცის ლაჟვარდში გაინავარდოს? დიდი გულადი უნდა იყოს კაცი, რომ ამ აზონჩხილი სათამაშოთი გაისეირნოს, ნეტავი თავი ხომ არ მოსძულებია? დაახლოებით ამგვარ ფიქრებს შეეპყრო მაშინ ყველას გონება. ზოგიერთი ხმამაღლაც კი გამოთქვამდა გულისნადებს: წავიდეთ, ძმაო, გავეცალოთ აქაურობას, რაიმე უბედურებას არ გადავეყაროთ. მართალია, სხვების გასაგონად ასე გაიძახოდნენ, მაგრამ ფეხს მაინც არავინ იცვლიდა. ყველა განუზომელ ცნობისმოყვარეობას შეეპყრო – სურდა საკუთარი თვალით ეხილა **“ბამბუკის ეტაჟერკის”** ცაში აფრენა.

და, აი, დადგა სანატრელი წუთი.

ბამბუკის ნაცრისფერი კალია ჯერ მინდორზე გასრიალდა მოხდენილად, მერე შვეულად აიჭრა ჰაერში.

ბესარიონს ჰაერში აფრენისას ცოტათი გაუარა მღელვარებამ, მაგრამ მთლად მაინც ვერ დამშვიდდა.

“როგორმე ბოლომდე უნდა გავუძლო, როგორმე უავარიოდ უნდა დავეშვა მიწაზე, თორემ, თუ ერთხელ გაუცრუვდათ მოლოდინი, შემდეგ ძნელადღა იწამებს ვინმე ამ დიდი საქმის წარმატებას...” – ფიქრობდა ბესარიონი და საჭეს გულდაგულ მინდობილი, თითქოს შერწყმოდა, შესისხლხორცებოდა მანქანას. **“დროა დავეშვა, უკვე სახიფათოა დაყოვნება”,** – გაუელვა აზრმა და საჭეს ძალუმად ჩაეჭიდა. უცნაურმა ფრინველმა კიდევ ერთი წრე მოხაზა და ნელ-ნელა დაიწყო მიწაზე დაშვება. როდესაც პლანერი დედამიწას შეეხო, ხალხმა ერთხმად იხუვლა და ყიყინით შემოერტყა გარს. ამასობაში ფრინველის ქეჩო მაღლა აიწია და საშუალო ტანის ქერათმიანი ვაჟკაცი გამოჩნდა, მაგრამ მიწაზე ფეხის დადგმა ვინ დააცალა, ხალხმა აიტაცა და **“ვაშა”**-ს ძახილით რამდენჯერმე მაღლა აისროლა. მერე კი აღტაცებულმა ქართველმა მამულიშვილებმა არნახული შეხვედრა გაუმართეს ცის პირველ, ქართველ დამპყრობს.

მეორე დღეს, საქართველოს დედაქალაქის პრესამ უაღრესად დიდი მოწონებით აღნიშნა საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ქართველი მფრინავის პირველი წარმატება. გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ბესარიონს შესაფერისი საავიაციო განათლება მიეღო.

1910 წლის დამდეგს ბესარიონ ქებურია საკუთარი და ქართველი საზოგადოების მიერ შეგროვილი თანხით საავიაციო ცოდნის მისაღებად საფრანგეთის დედაქალაქში მიემგზავრება. პარიზში მას ჩასვლა იმ დროს მოუხდა, როცა მთელი საფრანგეთი ავიაციის მანიით იყო შეპყრობილი.

ბესარიონ ქებურიამ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები პარიზის აეროკლუბში და წარჩინებით დაამთავრა სწავლების საკმაოდ რთული კურსი. მერე კი, როგორც წესი, პარიზის აეროკლუბის თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ, იგი ლუი ბლერიოს მფრინავთა სკოლაში მიიღეს.

ბლერიოს სასწავლებელში გატარებული წლები ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილებებით დატვირთულ დროდ დარჩა ბესარიონის ცხოვრებაში. განსაკუთრებით ტკბილი მოგონებები შემორჩა მას სკოლის ხელმძღვანელ ლუი ბლერიოზე. ბ. ქებურიას პირად არქივებში ინახება მოგონებანი გამოჩენილ ფრანგ ავიატორზე. **“ჩემმა მასწავლებელმა ლუი ბლერიომ მირჩია, შემეძინა მისი კონსტრუქციით აგებული “ანზანის” ძრავიანი აეროპლანი. მართალია, ასეთი დიდი თანხის გაღება ჩემთვის თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ აეროპლანი პრაქტიკის ამაღლებაში დიდად დამეხმარებოდა. სასწავლო-საჩვენებელ ფრენებს დიდი ხანი ბლერიოს საკუთარ აპარატზე ვატარებდი. სკოლის ყველა მოსწავლე კრთოდა საფრენი აპარატის წინაშე. ერთი მცდარი კურსი, ოდნავ წაბორძიკება და დიდძალი ფული იყო საჭირო დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად. მოსწავლეს თვითონ უნდა დაეფარა აეროპლანის შესაკეთებელი ხარჯები”.**

დირექცია და ხელმძღვანელობა, როგორც იტყვიან, **“ხელს იბანდა”** ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. ამ რთული გარემოებით გამოწვეული სიფხიზლისა და გულმოდგინე მეცადინეობის წყალობით, ბესარიონ ქებურიას არასოდეს არ დაუზიანებია საფრენი აპარატი. აი, რას წერს თავად ბესარიონი ამაზე: **“მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, მე შევძელი ისე შემესწავლა ფრენა, რომ ერთხელაც არ დამეზიანებინა საფრენი აპარატი. თუმცა ამ წარმატებას მივაწერ არა მარტო ჩემს ყურადღებას, ან რაიმე განსაკუთრებულ ნიჭსა და ტალანტს, არამედ აეროპლანის ფრიად გაუმჯობესებულ კონსტრუქციას”**. ცხადია, როგორც მკვლევარი ვარლამ როდონაია წერს: **“თვითმფრინავის გაუმჯობესებული კონსტრუქცია აქ არაფერ შუაშია. დანარჩენი მოსწავლეებიც ამ კონსტრუქციის აპარატით სარგებლობდნენ, მაგრამ საკმაოდ ხშირი იყო ავარიის შემთხვევები, რაც სკოლის მოსწავლეთა გამოუცდელობისა და ფრენის ტექნიკის არცოდნას არ უნდა დავაბრალოთ, არამედ იმას, რომ “ანზანი” არ იყო უნიკალური ღირსების მქონე ძრავა, ხოლო ბესარიონის ხშირი “გადარჩენა” უპირველესად ღრმა პასუხისმგებლობასა და საქმისადმი სიყვარულს უნდა მიეწეროს. იგი უდიდესი სიფრთხილით ეპყრობა აპარატის თვითოეულ დეტალს, დაწვრილებით სწავლობდა მის დაშლა-აწყობას”.**

საავიაციო საქმის წარმატებით ათვისების საწინდრად ბესარიონი უპირველესად კარგ ფიზიკურ მონაცემებს და ჯანსაღ სხეულს მიიჩნევდა. იგი თავის მოგონებებში ერთგან წერს: **“ჩემი აზრით, მარტო სიჯვარული და ინტერესი როდი კმარა, რომ კარგი ავიატორი გახდე. ამისათვის საჭიროა ორგანიზმის სრულიად ჯანსაღი მდგომარეობა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ექიმებმა გამომიცხადეს – სრულიად ჯანმრთელი ხარ და ნერვებიც ნორმალური გაქვსო. სხვათა შორის, კუზმიკის ხშირ ავარიებს ექიმები მის სუსტ ნერვიულ სისტემას მიაწერდნენ”.**

ბესარიონ ქებურიამ ბრწყინვალედ ჩააბარა ფრენის გამოცდა და მიიღო დიპლომი. ბლერიოს სკოლის კურსდამთავრებულთა ფოტოსურათები ერცელი ინფორმაციით გამოაქვეყნეს პარიზის გაზეთებმა **“ფიგარომ”** და **“ილუსტრასიონმა”**. ისინი განსაკუთრებით ქებით იხსენიებდნენ პირველი ქართველი მფრინავის წარმატებებს.

პარიზში ბესარიონ ქებურიამ შეიძინა ბლერიოს აპარატი და რუსეთისკენ გამოემგზავრა. პირველი საჩვენებელი გაფრენა მან ვარშავაში მოაწყო. ეს იყო პირველი რკინის ფრინველი, რომელიც ვარშაველებმა ნახეს. ვარშავაში ყოფნისას ქებურიამ მიიღო მოწვევა პეტერბურგის ავიაკლუბისაგან. იგი აქ შეხვდა რუსული ავიაციის მამას ე.ნ. ჟუკოვსკის, რომლისგანაც ბევრი რჩევა-დარიგება მიიღო.

ქებურიამ პეტერბურგში მოაწყო რამდენიმე საჩვენებელი გაფრენა, შემდეგ კი იფრინა მოსკოვში, კიევში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვში, ასტრახანში, ყაზანსა და ბაქოში.

1910 წლის ბოლოს ქართველი ავიატორი თბილისში დაბრუნდა, სადაც მან ასევე რამდენიმე საჩვენებელი გაფრენა მოაწყო. დროთა განმავლობაში ქებურიას ბლერიოს ტიპის აპარატი გაუცვდა, ძრავი ისე დაზიანდა, რომ ხშირად მარცხი მოსდიოდა და ამის გამო მისი სიცოცხლე ზოგჯერ ბეწვზე ეკიდა. ქებურიას არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, შეეძინათ მისთვის, სახელმწიფოს ხარჯებით, ახალი აპარატი, უყურადღებოდ რჩებოდა. ამიტომ ქართველი ავიატორი დაეინებითა და შეუპოვრობით შეუდგა საკუთარი კონსტრუქციით თვითმფრინავის შექმნას. თან ისეთისა, რომელიც სრულიად გამორჩეული იქნებოდა მაშინ არსებული ყველა მათგანისაგან.

1910 წელს გაზეთი **“კავკაზსკაია რეჩ”**-ი იუწყებოდა: **“ჩვენმა თანამემამულემ ბესარიონ ქებურიამ შექმნა საკუთარი კონ-**

1912 – სარეკორდო გაფრენა თბილისი, პარიზი.

1914 – პირველი საჰაერო ტრასა ქართულ ცაზე;

1928 – საქართველოს საჰაერო ფოტოგადაღება;

1930 – “დობროლიოტის” შექმნა, მოღვაწეობის 20 წლის იუბილე;

1942 – მოსკოვი, სამოქალაქო საჰაერო ფლოტი;

1945 – დაბადების 75 წელი. ლენინის ორდენით დაჯილდოება;

1950 – მოღვაწეობის 40 წელი. ახალი ჯილდო;

1958 წლის 4 დეკემბერი... პოეტის თქმისა არ იყოს, სახელოვან ადამიანთა დაბადების თარიღს გვერდით ვერასოდეს მიუდგება მეორე თარიღი.

სტრუქციით ბრწყინვალე თვითმფრინავი, რომელსაც ავტომატური სტაბილიზატორი აქვს. ქებურიასებული აპარატი ქარს მშვენივრად უძლებს, ფრენის დროს ნაკლებად ქანაობს, რის გამოც მგზავრები თავს კარგად გრძნობენ. ჯერჯერობით ეს პირველი თვითმფრინავია, რომელსაც ორი ძრავი აქვს, ერთი ძრავი წინ არის, მეორე უკან. ტვირთზიდვა 700 კილოგრამია, რაც დაახლოებით ათ მგზავრს უდრის. საათში სიჩქარე 150 კმ-ია; თვითმფრინავს თავის წონასთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტი ტვირთი მიაქვს, რაც ავიამშენებლობაში პირველია და ჯერჯერობით არც ერთ ევროპულ თვითმფრინავს ეს არ შეუძლია”.

88 წელი იცოცხლა პირველმა ქართველმა ავიატორმა ბესარიონ ქებურიამ, 88 წელი... და არც ერთ ქართველ ავიაკონსტრუქტორს არ მიუნიჭებია წლებისათვის იმდენი დასამახსოვრებელი, შთამაგონებელი ძალა, როგორც ეს მან, ქართული ავიასკოლის პირველმა გზის გამკვალავმა და ფუძემდებელმა.

უკიდეგანო ცას თამამად გაეკამათა კოლხი გლეხკაცის შვილი, მუდმივმა უსახსრობამ და ანგარიშგასაწევმა წინააღმდეგობებმა ვერ შეაჩერეს ნიჭიერი, შრომისმოყვარე ვაჟკაცის სწრაფვა და მაძიებლური ჟინი.

დღეს ჩვენ და არა მარტო ჩვენ, ავიაციის მამაღმერთების ლუი ბლერიოს, მოჟაისკისა და ძმები რაიტების გვერდით ასახელებენ ჩხოროწყელ ვაჟკაცს, რომელმაც 88 წელთან ერთად 8 ათეულზე მეტი წინააღმდეგობა გადალახა და შთამომავლობას დაუმტკიცა და უანდერძა, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია ადამიანში ჩაკლას ნიჭი. არავის არ ძალუძს თვით უდიდესი უგუნურობითა და ეგოიზმითაც კი შეაჩეროს იმ ადამიანთა წინსვლა, რომელმაც ტიტანური ნებისყოფით საკუთარი **“მე”** აღმოაჩინა და ამ **“მე”**-ს თვით შეუქმნა გულმტკიცობით და პირმტკიცობით დამშვენებული სამყარო.

ვილი ბრედელი მემუარების წიგნში წერს: **“არ შეედრება არავითარი ბედნიერება ბედნიერებას იმ სოფლისას, სადაც გენიოსი ადამიანები დაიბადნენ. დიდ ადამიანს ძალუძს თვით უმცირეს სოფელსაც კი მსოფლიოს უდიდეს ქალაქზე უფრო დიდებული დიდება მიანიჭოა”.**

ნიჭიერი მწერლის ეს ნათქვამი რამდენადმე ესადაგება სამეგრელოს ერთ-ერთი ულამაზეს ჩხოროწყუს რაიონს, სადაც საშვევარდნო ფრთები გაშალა დიდმა ქართველმა ავიატორმა და ავიაკონსტრუქტორმა, ბესარიონ ქებურიამ.

ზაურ თოლორდავა,
დაბა ჩხოროწყუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი მაზნიაშვილი ქართული ჯარის შესახებ

ბატარეის უფროსმა კაპიტან კარგარეთელმა რამდენიმე საათის შემდეგ მომახსენა, რომ მან უკვე ამოირჩია ორი პოზიცია, ერთი სადგურ ნატანების უკან, მარჯვნივ, და მეორე მდ. ნატანების ხიდთან. შორაპნის რაზმის უფროსს ინჟინერ ხუნდაძეს ვუბრძანე, წინ წაეწია და დაეჭირა პოზიცია ჩოლოქის ხიდის მარჯვნივ ზღვის ნაპირამდე, ხოლო პარტიზანული რაზმის უფროსს ფურცელაძეს დავავალე, დაეჭირა პოზიცია იმავე ხიდის მარცხნივ. ორივე რაზმი დაუყოვნებლივ შეუდგა თხრილების ამოღებას. ჯავშნიანი მატარებელი ჩავაყენე რეზერვში.

ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან საჩქაროდ დავიბარე პატივცემული მოხუცებული მცხოვრებნი, რომელთაც ავუხსენი ჩემი მოსვლის მიზანი, საქმის ვითარება და დავასკვენი, რომ თუ მთელი მცხოვრებნი მთლიანად არ გამიწევენ დახმარებას, მარტო მე ვერ შევძლებ მათი სოფლების, ქონებისა და ცოლ-შვილის დაცვას. ყველამ გამოსთქვა სურვილი ყოველგვარი დახმარებისა. იქვე გადასწყვიტეს, რომ გამოვლენ ყველანი, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, ხოლო მოხუცებულებმა და ბავშვებმა აღმითქვეს, რომ ჯარის ნაწილებს გაუძღვებიან და უჩვენებენ ბილიკებს, რომლითაც შეიძლება გავლა მდ. ჩოლოქსა და ნატანებს შუა მდებარე ჭაობებში და იქვე შეადგინეს მზვერავი რაზმები.

პირველად ამ რაზმეულებისაგან გავიგე, რომ მე-2 ქართული ლეგიონი თითქმის უვნებლად გამოვიდა ბათუმიდან და ქობულეთისაკენ მოდის მწყობრად და წესიერად.

ამ მომენტიდან იწყება პარტიზანული რაზმების შედგენა სოფლებში, იარაღი თითქმის ყველას ჰქონდა და ძალიან ცოტა თოფი დაგვჭირდა ხალხის შესაიარაღებლად.

2 აპრილს დილით მე უკვე დაჭერილი მქონდა ყველა პოზიციები სოფელ ვაშნარამდე, რომელიც მდებარეობს სადგ. ნატანებიდან 16 ვერსის მანძილზე. მართალია, ამ პოზიციებს შუა ზოგიერთი ადგილები გაუმაგრებელი იყო, მაგრამ ყოველ წუთს ველოდი ტფილისიდან დამხმარე ჯარებს.

ამასთან ერთად, დავიჭირე კავშირი ცნობილ რევოლუციონერ ისიდორე რამიშვილთან და ვთხოვე, მოეხდინა მობილიზაცია მთელ მაზრაში და შეიარაღებული ხალხი ცალ-ცალკე ჯგუფებად გამოეგზავნა ჩემს შტაბში. რამიშვილმა მიპასუხა, რომ იმან უკვე მოახდინა მობილიზაცია და რამდენიმე რაზმი უკვე გამოგზავნა ჩემს განკარგულებაში. რამიშვილმა, ამასთან, აღმითქვა შემდეგში ყოველგვარი დახმარება.

ამის შემდეგ **კორპუსის უფროსს გენერალ გაბაშვილს ვრცელი მოხსენება გავუგზავნე და ვთხოვე, გამოეგზავნა დამხმარე ჯარები და ძველი ნამსახური ოფიცრები შტაბის შესადგენად და ახლად შემდგარი მრავალი პარტიზანული რაზმების სახელმძღვანელოდ. ვთხოვე აგრეთვე სადგურ სამტრედიაში საინტენდანტო და სასანიტარო ნაწილების მოწყობა. კორპუსის უფროსმა ჩემი განკარგულებანი და დანიშნული პოზიციები მოიწონა. გასცა განკარგულება, რომ სამტრედიაში მოეწყოს საინტენდანტო და სასანიტარო ნაწილები. გამომიგზავნა რამდენიმე ათეული ოფიცერი, მაგრამ იმავე დროს მაცნობა, რომ ოსმალეთის ჯარებს იერიში მოაქვთ არა მარტო ბათუმის მხრივ, არამედ ახალციხისაკენ და ბამბაკის ხეობით, ამიტომ ის იძულებულია მე-3 დივიზიის უკვე შემდგარი ნაწილები გაგზავნოს ახალციხეში, ხოლო მე-2 დივიზიის ნაწილები დასტოვოს ტფილისში იმ შემთხვევისათვის, თუ ოსმალები წამოვლენ ბორჩალოს მაზრისაკენაც. ამასთან ერთად კორპუსის უფროსი მეტს მნიშვნელობას აძლევდა ოსმალების წინსვლას ბათუმის მხარეზე და ამიტომ განიზრახა კორპუსის შტაბის გადმოტანა სამტრედიაში.**

2 აპრილს ჯავშნიანი მატარებლით გავემგზავრე ქობულეთისაკენ ადგილების დასათვალიერებლად და, აგრეთვე, მე-2 ქართული ლეგიონისა და მისი უფროსის პოლკოვნიკ ყარალაშვილის სანახავად.

ოჩხამურის ხიდი რომ გავიარეთ და ქობულეთს ორი ვერსის მანძილზე მივუახლოვდით, შევნიშნეთ ჩვენსკენ მომავალი მატარებელი. ვუჩვენეთ ნიშანი და მატარებელი გავაჩერეთ. გამოირკვა, რომ ეს იყო მე-2 ლეგიონის ეშელონი.

ჩემთან მოვიდა უფროსი და მომახსენა, რომ ოსმალები გამოჩნდნენ ჩაქვის მიდამოებში და მოიწევენ ქობულეთისაკენ. ჩემს შეკითხვაზე – რას წარმოადგენს მე-2 ლეგიონი, ყარალაშვილმა მიპასუხა, რომ ლეგიონში დარჩა 500 ჯარისკაცი, რომ იგი, როგორც სამხედრო ნაწილი, არაფრად არ ვარგა, რომ შედგენილია ტრაპიზონის რაიონში სხვადასხვა ნაწილებისაგან, უმთავრესად კი სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებებში ნამსახური ჯარისკაცებისაგან, რომელთა ერთადერთი მისწრაფებაა, რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ამგვარი პასუხის შემდეგ, მე გადავწყვიტე, ეს ლეგიონი საომრად არ დამეტოვებინა, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ ამგვარი ჯარის ნაწილი არამცთუ არავითარ დახმარებას არ მოგვცემდა, არამედ პირიქით, იმ პატარა რაზმსაც გამიფუჭებდა, რომელიც პოზიციებზე იდგა.

მე ვუბრძანე ყარალაშვილს, რომ თავისი ლეგიონით ასულიყო სადგურ ლანჩხუთში, იქ დაბანაკებულიყო, ჯარისკაცები დაესვენებინა, თავისი ლეგიონი შეევსო იმ რაზმებით, რომელთაც მიგზავნიდა ისიდორე რამიშვილი და ამგვარად შეედგინა სათადარიგო რაზმი. ამასთან, ვუთხარი ყარალაშვილს, გაეფრთხილებინა ჯარისკაცები, რომ ჩემი განკარგულებით სამტრედიაში დგას ჯავშნიანი მატარებელი და საპიორების გუნდი, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, დააპატიმრონ ყველა დეზერტირი და გადასცენ სამხედროსაველე სასამართლოს.

ამ მუქარამ გავლენა იქონია და ჯარისკაცთა მომეტებული ნაწილი დარჩა ლაშქარში.

იმავე დღეს მოვიდა ჩემთან სამი ოფიცერი: გენერალური შტაბის პოლკოვნიკი კოსტილი და პორუჩიკები ვაჩნაძე და მოსტოვოი; სამივენი მსახურობდნენ პლასტუნების ბატალიონში, რომელიც მოქმედებდა კავკასიის ფრონტზე.

რანაირად მოსწყდნენ ისინი თავიანთ ბატალიონს, არ ვიცი, ხოლო მე ძალიან ვსაჭიროებდი შტაბში მომუშავე ოფიცრებს და ამიტომ ისინი დავტოვე ჩემთან. პოლკოვნიკი კოსტილი დავნიშნე ჩემი შტაბის უფროსად, ხოლო ვაჩნაძე და მოსტოვოი – ადიუტანტებად.

2 და 3 აპრილს ვამაგრებდით პოზიციებს, ვაწყობდით სამხედრო დაწესებულებებს, ვიღებდით ტფილისიდან მოსულ რაზმებს და ვანაწილებდით სხვადასხვა ჯგუფებში.

დღისით მზვერავის საქმეს ასრულებდა ჯავშნიანი მატარებელი, ხოლო ღამით, როგორც ზევით მოვიხსენიე, ახლომახლო სოფლების მოხუცებულები, რომლებიც ნაცნობი ბილიკებით დადიოდნენ ქობულეთამდე.

4 აპრილს მზვერავების მოხსენების შესამოწმებლად გავემგზავრე ჯავშნიანი მატარებლით ქობულეთისაკენ.

მდ. ჩოლოქის იქით 2 ვერსის დაშორებით ჩამოდის პატარა მდინარე ოჩხამური, რომელზედაც გადებულია რკინის გზის ხიდი სიგრძით 10-12 არშინი. ეს ხიდი მოსახვევშია, აქ რკინის გზის ხაზი უხვევს მარჯვნივ, აქვე თავდება ტყე და იწყება ველი. ეს ადგილი თავდაღმართიანია, თუმცა მემანქანემ დროზე შეამჩნია, რომ ხიდი აყრილი იყო, მატარებლის შეჩერება ადრე ვერ შესძლო, და მატარებელი შედგა ხიდზე. პირველი საომარი რონოდა ხიდს გასცდა, მაგრამ რადგანაც ხიდის იქითაც ლიანდაგი აყრილი იყო, რონოდა დაეჯახა მიწას, ორთქლმავალი გვერდზე გადიხარა და უკანა ტანით აიწია.

ორთქლმავალმა შიშხინი იწყო, მემანქანე და მისი თანაშემწე უვნებლად გადახტნენ წყალში: ორთქლმავალში დავრჩით მატარებლის უფროსი ვლადიმერ გოგვაძე და მე.

ჩვენი უბედურება ის იყო, რომ გოგვაძე ომში მიღებული ჭრილობისაგან დაკოჭლებული იყო, ხოლო მე ვარშავასთან ბრძოლაში დაჭრილი ხელი გულზე მქონდა ჩამოკიდებული და სხვის დაუხმარებლად ვერც ერთს ორთქლმავალიდან გადმოსვლა არ შეგვეძლო, მაგრამ რონოდებიდან საჩქაროდ გადმოსული ხალხი მოგვეშველა და მიწაზე გადმოგვსხა.

ჩვენს შორის არავინ დაზარალებულა, მხოლოდ მე დავიწვი მარჯვენა ხელის გული. დავზარალდით მხოლოდ მატერიალურად, რადგან გაფუჭდა ორთქლმავალი.

რადაც უნდა დაგვჯდომოდა, უნდა გადაგვერჩინა ჯავშნიანი მატარებელი, რადგან მეორე ასეთი საომარი იარაღი არა მქონდა. მთელი რაზმი მატარებლისა გავგზავნე წინ მიდამოების დასათვალიერებლად, რადგან ვშიშობდი, ოსმალები არ ყოფილიყვნენ ჩასაფრებულნი ჩვენს მატარებელზე დასაცემად და მაშინვე ვაცნობე ჩვენი უბედურება ნატანებში.

შტაბის უფროსმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა ერთი გუნდი შტაბ-როტმისტრ გაბაშვილის უფროსობით და, ამასთან ერთად, მოითხოვა სამტრედიიდან დამხმარე სარემონტო მატარებელი ჯავშნიანი მატარებლის ასაწევად. გაგზავნილმა რაზმმა გაიარა ორი ვერსი ქობულეთისაკენ და მტერი არსად აღმოჩნდა. ამ დროს მოვიდა დამხმარე მატარებელი-სახელოსნოც. 5 აპრილს დილით ჯავშნიანი ორთქლმავალი უკვე ლიანდაგზე იდგა და მთელი მატერებელი ჩავიყვანეთ სადგურ ნატანებში.

ოჩხამურის რკინის ხიდის გაფუჭებით ოსმალებმა იმ დასკვნამდე მიმიყვანეს, რომ მთავარ იერიშს ისინი მოიტანდნენ ჩემი ჯარის მარჯვენა ფრთაზე.

ამ დროისათვის ყოველ საათში მომდიოდა მცირერიცხოვანი რაზმები, თითო 100-150 კაცამდე. ყველა რაზმები აღჭურვილნი იყვნენ მამულიშვილური გრძნობით, მაგრამ მაინც არ ავიწყდებოდათ ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი, და დანიშნულ ადგილებზე მხოლოდ მაშინ მიდიოდნენ, როდესაც ყველა მოთხოვნილებას დავუკმაყოფილებდით. იმავე დროს მზვერავებმა მაცნობეს, რომ ოსმალების ჯარებმა უკვე დაიჭირეს ქობულეთი და მათი მეწინავე რაზმები ქობულეთს გამოსცდნენ.

მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიხოლოგია ქართველი მეომრებისა, კარგად ვიცოდი, რომ, თუ გავუძლებდი მტრის პირველ იერიშს, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველ შეტაკებისთანავე შედრკებოდნენ, მაშინ გამეორდებოდა ბათუმის ისტორია და იძულებული გავხდებოდი, დამეხია სამტრედიისაკენ და იქ კვლავ მეწყო შეგროვება გაფანტულ ჯარებისა, რომელიც ასეთი სიძნელით იქნა შეგროვილი ასეთ მოკლე ხანში.

საჭირო იყო სათადარიგო ძალები, რომლებიც მე არა მყავდა, თუ არ მივიღებთ ანგარიშში ერთადერთ ლეგიონს ყარალაშვილისას, რომელიც იდგა ლანჩხუთში.

სათადარიგო ჯარს დიდი გავლენა აქვს თხრილებში მჯდომ ჯარისკაცების სულიერ განწყობილებაზე, მის მაგივრად რაიმე სხვა ძალა უნდა გამომეგონა, ამიტომ გადავწყვიტე: თუ მტრის უმთავრესი ძალა ჩემს მარჯვენა ფრთას მოაწვებოდა. შემეწირნა ჯავშომატარებელი და მესარგებლნა იმით, ისე, როგორც სარგებლობდნენ ჯავშნავტომობილებით დასავლეთ ფრონტზე.

გასაჭირი იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ ჯავშნიანი მატარებლის გაჩერება ახლო, გაშლილ მინდორზე, არ შეიძლებოდა, რადგან შეტაკების დროს იგი, შესაძლებელია, დაზარალებულიყო ზარბაზნების ყუმბარებით ისე, რომ ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მატარებლით ვეღარ ვისარგებლებდი.

ბევრი აღარ მიფიქრია, დავიბარე საჩქაროდ რკინის გზის ოსტატები და რაიონის უფროსი, და წინადადება მივეცი ერთი დღის განმავლობაში ჩოლოქის ხიდიდან გაეყვანათ განზე რკინის გზის მოკლე შტო, ისეთი, რომ ზედ დატეულიყო მატარებელი.

მუშაობას შეუდგნენ ენერგიულად და, მართლაც, სადამოზე შტო უკვე მზად იყო. მატარებელი მიიმალა ტყეში, ის იყო ჩვენი იმედი გაჭირვების დროს და იმავე დროს იყო შემაშინებელი ძალა იმ გულსუსტი ჯარისკაცებისათვის, რომლებსაც თავში აზრად მოუვიდოდათ თხრილების მიტოვება და გაქცევა. ეს გარემოება ცხადად აუხსნა ჯარისკაცებს ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა ვლადიმერ გოგვაძემ.

5 აპრილს, ნაშუადღევს გავემგზავრე ავტომობილით ოზურგეთში, მე-4 ქართული ლეგიონის დასათვალიერებლად.

ეს ლეგიონი ახლად ივსებოდა და სდგებოდა პ. რამიშვილის მიერ მოგროვილ ჯარისკაცებიდან.

ლეგიონის უფროსმა სვიმონ წერეთელმა მომახსენა, რომ სამი ათასეული უკვე შემდგარია, ხოლო მეოთხე ათასეული სდგება თვით ქ. ოზურგეთში, რომ ათასეულები უკვე პოზიციებზე სდგანან: ერთი – სოფელ ლიხაურის მახლობლად, მეორე – თხრილებში სოფ. შემოქმედის ბოლოში და მესამეც – თხრილებში სოფ. ვაშნარის გზატკეცილის გასწვრივ. ამასთან, პოლკოვნიკმა წერეთელმა შემომჩივლა, რომ მას არა ჰყავს არტილერია. ჩემს შეკითხვაზე, ვარგა თუ არა საომრად მისი ლაშქარი, წერეთელმა დამარწმუნა, რომ ჯარისკაცები ძალიან დარცხვენილნი არიან ბათუმიდან გამოქცევით, რომ იბრძოლებენ თავგამეტებით და, რადგანაც თითქმის ყველანი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები არიან, მედგრად დაიცავენ თავიანთ მიწა-წყალს და ოჯახებს. მე გავაცანი პოლკ. წერეთელს საქმის გარემოება, ვუთხარი, რომ ეჭვი არაა, ოსმალები იერიშს მოიტანენ უმთავრესად ჩვენი ჯარების ფრთებზე, რადგან შუაგული ტრიალი მინდორია და, ამასთან, ჭაობიანიც და ძნელად გასავალი და ვსთხოვე, მიექცია განსაკუთრებული ყურადღება მდ. ლიხაურისა და ქ. ოზურგეთის შუა მიმავალ ვიწრო გზებისთვის. ამასთან, დავპირდი არტილერიის გამოგზავნას იმავე ღამესვე და გამოვტრიალდი ნატანებისაკენ.

შუადღის 4 საათზე მივიღე ცნობა სამტრედიიდან, რომ ჩემს განკარგულებაში იგზავნება 1.300 კაცი, მოგროვილი ხაშურში ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებლის ნიკიფორე იმნაიშვილის შრომითა და ენერგიით.

შეადგინა

თემურ ქორიძემ

სქელდგიმელ ვვეჩლი

კითხვა-პასუხი რელიგიურ თემებზე

რას ნიშნავს „ალილო“?

საქართველოს ყველა კუთხეში **„ალილოს“** სხვადასხვაგვარად გალობდნენ. ჩვენი ხალხის ღრმა სარწმუნოების სიმბოლო იყო ეს პატარა საგალობელი.

შობა დღეს, მაგალითად თუშეთში, დიასახლისი აწყობდა ტაბლას, რომელსაც ნათლისღებამდე ხელუხლებლად ინახავდნენ. მას **„ქრისტეს სუფრა“** ეწოდებოდა. ტაბლაზე უთუოდ უნდა ყოფილიყო დიდი კოტორები, ანუ ქადები. მათზე თუშები ამბობდნენ, **„ქრისტეს საგძალიაო“.** თითქოს ეფერებოდნენ ახალშობილ იესოს, ზრდიდნენ, საგზალს უმზადებდნენ, თავს დაჰფოფინებდნენ.

„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო“, – ვადიდებთ უფალს მორწმუნეები. სიტყვა **„ალილო“** მოდის **„ალილუიდან“**, რაც ნიშნავს: **„აქებდით თვალსა“.**

– სად ინახებოდა, გადმოცემის თანახმად, იესო ქრისტეს აკვანი?

– მყინვარწვერზე, სადაც ძველ ქართველებს მიჯაჭვული ამირანი ეგულებოდათ, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე ჩვენმა წინაპრებმა ააგეს მონასტერი და ბეთლემი უწოდეს. ამ მონასტრიდან მთელ საქართველოს სწვდებოდა ღირსი მამების ლოცვის მადლი.

ბეთლემი **„პურის სახლს“** ნიშნავს. ასე ერქვა ქალაქს იერუსალიმში, სადაც დავით წინასწარმეტყველი და თვით მაცხოვარი დაიბადა. ძნელად მისადგომ მონასტერში ხშირად ინახავდნენ ხოლმე განძს, რაზეც მატიანეებიც მოწმობენ. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ბეთლემში **„იტყვიან უფლისა აკვანსა და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსვეტად, უსაბლოთ და სხვათა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ“.** მეფე ერეკლეს დროს მღვიმეში ასულა იოსებ მოხევე, წმიდა და ღმერთშემოსილი მამა, რომელსაც უხილავს უფლის აკვანი და აბრაჰამის კარავი, რომლის ნაჭერიც ერეკლესთვის მიურთმევია.

– რის აღსანიშნავად კეთდება ჩიჩილაკი?

– 14 იანვარი, ძველით ახალი წელი, წმიდა ბასილი დიდის ხსენების დღეა. იგი საქართველოში დიდი სიყვარულით სარგებლობს. სწორედ წმიდა ბასილის პატივსაცემად აკეთებდნენ ჩიჩილაკს და მას მოფერებით **„ბასილის წვერებს“** უწოდებდნენ. ჩიჩილაკი, ტრადიციულად, თხილის ტოტისგან კეთდებოდა, რადგანაც თხილი ნაყოფიერებისა და სიუხვის ქართული სიმბოლოა, ნაძვის ხე გერმანიიდან შემოვიდა. 14 იანვარს აცხობდნენ კაცის ფორმის კვერებს, რომელთაც **„ბასილებს“** ეძახდნენ. ამ დღეს ეკლესიაში წმიდა ბასილი დიდის ლიტურგია აღესრულება. ხალხის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება წმიდა ბასილისადმი იმით აიხსნება, რომ, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კაბადოკიელი ეპისკოპოსი წარმოშობით ქართველი იყო. წმიდა ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის ბედნიერად წარმართვას, ვაჟიანობასა და საქონლის გამრავლებას.

სულისთვის სასარგებლო რჩევები

– ნუ მიიჩნევ თავს ყოვლის მცოდნედ. სრულყოფილების რა სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიო, ნუ იტყვი, კარგად ვიციო, რადგანაც, თუ შენი შრომა და ღვაწლი მიეცი ამპარტავნებას, წახდები და აღმოჩნდება, რომ შენი სულის ხომალდს ამაოდ უცურავს ამქვეყნიური ცხოვრების ზღვაში.

– განა შეიძლება, დარდს მიეცეს ის, ვინც თავი ყოველგვარი მწუხარების ღირსად წინასწარვე აღიარა? ამიტომ თავმდაბალი არასოდეს მრისხანებს, არ ეძლევა დარდს და არაფრის ეშინია.

– თუ ცოდვა განუწყვეტლივ გვექნება თვალწინ და დაწვრილებით გამოვიძიებთ, ჩვენში ვერანაირ სათნოებასა და თავმდაბლობას ვერ ვიპოვით.

– ნუ აღიმაღლებ თავს კეთილი საქმეებით, როგორი დიდიც არ უნდა იყვნენ.

– ყველანაირად ეცადე, აღზარდო საკუთარ თავში ადამიანების მიმართ სიკეთე. თუ ძალას დაატან შენს გამშრალ სულს, წყლის წვეთებივით ყოველთვის გამოადენ სიკეთეს – მტრების გამართლებას, რაც მათზე სულიერ გამარჯვებას ნიშნავს.

– აჯობე მზეს კეთილშობილებით. იგი ბოროტსაც ათბობს და კეთილსაც. შენ რატომ არ შეგიძლია, სიკეთით გაათბო ორივე?

– თუ კაცთა მიმართ ბოროტებას ჩაიდებ, ამით დაიგროვებ შხამს, რომელიც ადრე თუ გვიან შენში ადამიანს მოკლავს.

სად მდებარეობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია ამჟამად სტამბოლის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან მდებარეობს. 1453 წლამდე იგი აია სოფიას ტაძრის ტერიტორიაზე არსებობდა.

აია სოფიას მშენებლობაზე ათიათასობით მუშა იყო დაკავებული. მის ასაგებად 324 მილიონი დრაქმა დაიხარჯა. ტაძარი 537 წელს აკურთხეს. XIII საუკუნის დასაწყისში ტაძარი ჯვაროსნებმა გაძარცვეს. მეთოთხმეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე აია სოფია მეჩეთად იყო გადაკეთებული. მოგვიანებით ბიზანტიური ხელოვნების მუზეუმად აქციეს. მართალია, თურქებმა ტაძარს მინარეთები მიაშენეს და ნაწილობრივ დააუშნოეს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ დაუკარგავს თავისი სიდიადე.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია 1453 წლიდან 1601 წლამდე სტამბოლის სხვადასხვა ეკლესიისა და მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1601 წლიდან დაფუძნდა წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც ამჟამად საპატრიარქო ტაძრად ითვლება. აქ ინახება იმ ქვის სვეტის ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი იყო მიკრული საპყრობილეში. გარდა ამისა, წმიდა გიორგის ეკლესიაშია სასწაულმოქმედი ხატი, წმინდანთა ნაწილები, საეპისკოპოსო ტახტი, რომელიც გადმოცემის თანახმად, იოანე ოქროპირს ეკუთვნოდა.

კონსტანტინეპოლის ეკლესიას მართავს პატრიარქი და წმიდა სინოდი, რომელშიც 12 მიტროპოლიტი შედის. ახალი პატრიარქის არჩევა სინოდის წევრთა კომპეტენციაა, დაბალი რანგის სამღვდელოება და საერო პირები არ მონაწილეობენ.

კონსტანტინეპოლის ეკლესია ორ მილიონზე მეტ მორწმუნეს აერთიანებს. მათგან თურქეთში ოცი ათასამდე კაცი ცხოვრობს.

საპატრიარქოს შემადგენლობაში შედის თურქეთის ერთი საარქიეპისკოპოსო, ოთხი სამიტროპოლიტო და საბერძნეთის თორმეტი ეპარქია. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლის ეკლესიას საზღვარგარეთ აქვს სამი საარქიეპისკოპოსო – ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, ფიატისის (ინგლისი) და ავსტრალიის; ექვსი სამიტროპოლიტო: გალიის, გერმანიის, ავსტრიის, შვედეთის, ბელგიის, ახალი ზელანდიის. ყველა ეპარქია პატრიარქსა და წმიდა სინოდს ემორჩილება. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფება, აგრეთვე, ათონის წმინდა მთა და ფინეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია.

დიდი აიაზმა – ეკლესიის მცირე საიდუმლო

შვიდი მთავარი საიდუმლოს გარდა არსებობს მცირე საიდუმლოებანიც, თუმცა, ღვთის მადლით, არანაკლებ ძალმოსილნი. ერთ-ერთია დიდი აიაზმის წესით წყლის კურთხევა, რომელიც დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა. ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.

ძველი ქართველები ამბობდნენ, ნათლისღების დღეს აღებული უბრალო წყალიც კი არ იხრწნებაო. მიაჩნდათ, რომ ამ დღეს ყოველი მდინარისა და ნაკადულის წყალს ისეთივე მადლი ეძლეოდა, იორდანეს რომ მიეცა მაცხოვრის ნათლისღებისას.

ზოგიერთ ჩვენს სოფელში ახლაც არის შემორჩენილი ერთი ძველი ჩვეულება: ნათლისღების დღეს, დილაუთენია, უმძრახად (ხმისამოუღებლად) სამჯერ ავსებენ ჭურჭელს ხევსა თუ მდინარეში და იქვე აქცევენ. ზოგს კი ეს წყალი საფლავზე მიაქვს და ზედ ასხურებს. ამით თავიანთ მიცვალებულებსაც აზიარებენ ღვთის განცხადების სიხარულს.

VIII საუკუნის თბილისში, კერძოდ 786 წელს, ნათლისღების დღეს, ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ტაძრის ეზოში არაბებმა თავი მოჭკვეთეს გაქრისტიანებულ თანატომელს, წარმოშობით არაბ აბოს, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და აბო თბილელი უწოდა. მისმა მოწამეობრივმა სიკვდილმა ქართველები თითქოს ლეთარგიული ძილისაგან გამოაღვიძა და სულიერად გააძლიერა. ასეთი ფაქტი, მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას კი არა, მსოფლიოს არ ახსოვს.



ნინო გელენიძე: „მართალია გვიან, მაგრამ ჯვარი მაინც დავიწერეთ და ჩვენი ოჯახი დანგრევას გადარჩა“

ნინო გელენიძეს სხვებივით სჯეროდა ღმერთის, მაგრამ ტაძარში არ დადიოდა. გოგონას ბავშვობიდანვე სწამდა ძალა, რომელიც მუდამ მასთან იყო ჭირსა თუ ლხინში. გავიდა დრო და, მორწმუნე ბებიის წყალობით, ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, მეუღლესთან ჯვარი დაიწერა და დანგრევის პირას მისული ოჯახი გადაარჩინა.

– ჩვენს დროს ყველას იღებდნენ პიონერებში, გამონაკლისი არც მე ვიყავი. მორწმუნე ბებია რომ არა, ალბათ, დიდხანს დავრჩებოდი მოუნათლავი. ჩემი მშობლები ისეთ თანამდებობებზე მუშაობდნენ, ეკლესიის გვერდით გავლისაც კი ეშინოდათ.

– ბებიას დაყავდით ტაძარში?

– ბებია ძალიან კარგად კერავდა, უამრავი კლიენტი ჰყავდა, მაგრამ კვირაობით ხელს არაფერს ჰკიდებდა, ეს დღე ეკლესიისთვის იყო განკუთვნილი. ტაძარში შვილიშვილებიც დავყავდით. დღესასწაულებს ყოველთვის ძველი სტილით აღვნიშნავდით.

– თქვენ როდის დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება?

– სამწუხაროდ, გვიან, უკვე დაოჯახებული ვიყავი.

– რამ შემოგატრიალათ უფლისკენ?

– ოჯახში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა მე და ჩემს მეუღლეს. სამი შვილის დედამ განქორწინებაზე ვიფიქრე.

– რატომ დაგეძაბათ ურთიერთობა?

– დედამთილის გამო, რომელიც სოფლიდან ჩამოვიყვანეთ. ძალიან ცუდად მექცეოდა, ცხოვრება გამიმწარა.

– რატომ, არ მოსწონდით?

– არა, მოწონებით მოვწონდი, მაგრამ სიბერეში ხასიათი გაუფუჭდა, ბავშვივით ჭირვეულობდა, ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონდა. ამის გამო ხშირად ვჩხუბობდით. ქმარმა მითხრა, დედაჩემს თუ პატივს არ სცემ, ახლავე ჩაალაგე შენი ნივთები და აქედან წადიო. სასოწარკვეთილს ღმერთი გამახსენდა, ეკლესიური ცხოვრება დავიწყე. მოძღვართან საუბარმა დამამშვიდა. მირჩია, ჯვარი დაიწერეთო. ასეც მოვიქეცით... სასწაული მოხდა – სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ღვთის ნებით, ჩემი დედამთილი შეიცვალა, უფრო მორჩილი და დამყოლი გახდა, აღარ მეჩხუბება უმიზეზოდ, ოჯახში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. დიდება უფალს, მის ძალას ყოველთვის ვგრძნობ, ჭირშიც და ლხინშიც.

“საქართველო და მსოფლიო”

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

„ღონე გამოგველია მთელი დღე ბობდვით. ნადირი სულ გაგვირბოდა, სათოფეზე არ გვიდგებოდა. მთავარმა მხოლოდ ერთხელ დასცალა თოფი და შველი დასჭრა, ისიც ძლივს ჩამოვათრიეთ კლდიდამ, სადაც ტყვიის მოხვედრის შემდეგ აფოფხდა. იმასაც ვერ მივაგნებდით, რომ ორი არწივები არა, რომელთაც სწორედ ამ ადგილას ზემოდან, სადაც დაჭრილი შველი იწვა, ჰაერში კამარა შეჰკრეს. ლევანიც დაიღალა, ღოროტოტო დააკვრევინა და ყველანი სადილად გვიხმო. დავეშვათ მთიდან, მის კალთაზე ერთი ვაკე ავირჩიეთ და დავბინავდით. სანამ სადილს აკეთებდენ, მონადირეებმა დენა იწყეს. როცა ყველამ თავი მოიყარა, თვლას შევუდექით: ერთი დაგვაკლდა. ვიღაცამ წამოიძახა – კირვალიაო. ჰკითხეს სიკოს. იმან-კი ისა სთქვა, რომ სულისთავზე ერთმანეთს დავშორდით, მე მარჯვნივ გავყევი კლდეს, ის კი ზევით წავიდაო... მერე არაფერი მინახავსო...

„ვიღაცამ წამოიძახა: „ნუ გეშინიათ, დაბრუნდება, სად უნდა დაიკარგოსო“.

„მაგრამ მთავარმა, როცა გაიგო ამბავი, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც ნაბადზე წამოჯდა და შეშინებულისა და დაღონებულის სახით გამოაცხადა: ახლავე შეუდექით კირვალიას ძებნას; სანამ არ მომიძებნით, პირში ლუკმას არ ჩავიდებო.

„ყველანი დაღლილ-დახოცილნი იყვნენ, მაგრამ მაინც მეტი გზა არ დარჩენოდათ, მთავრის სურვილი უნდა აესრულებინათ, მისი ურჩობა აზრად არავის მოსვლია. ოციოდე კაცი ისევ გულისთავას აღმართს შეუდგა. სხვები კი, და მათს შორის მეც, ლევანმა თავისთან დაგვტოვა.

„უნდა მოგახსენოთ, რომ კარგი მსროლელი ვიყავი, მაგრამ საცა სიკო და ოქროპირი მიდიოდნენ, იქ ასვლას მაინც ვერ მოვახერხებდი.

მოხუცმა პატარა შეისვენა და მერე განაგრძო:

„ცოტა ხანს უკან მონადირეთა ძახილი მოგვესმა, ამით ამხანაგებს ატყობინებდენ – ვინ სად იყო. მათი ძახილი თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს თითქმის მისწყდა. მთავარი ყველას ყურს უგდებდა და გვეკითხებოდა,– რამე ხომ არ შეგატყობინესო?.. ხმები ხელახლა მოგვესმა, ახლა კი უფრო მკაფიოდ იძახდენ. მთავარი ერთ ალაგას ვერ გაჩერდა, ხელით გვანიშნა – უკან გამომყევითო და მიაშურა იმ ადგილას, საიდანაც ძახილი მოისმოდა როცა ქაქანით ავბობდდით და მივუახლოვდით მონადირეებს, ერთი კლდე გვიჩვენეს. თმა ყალხზე შეგვიდგა, როცა კლდის ნაპირას, საცა ერთი კაცი ძლივას დაეტეოდა, დავინახეთ კირვალია.

„კლდე საშინელი მაღალი იყო, იქიდან ხმის მიწვდენა გაჭირვებით-და შეიძლებოდა. ეტყობოდა, ყმაწვილს სიფიცხე მოჰრევია. ასვლით კი ასულა, მაგრამ რადგან უკან დაბრუნება ვეღარ მოუხერხებია, იქავე მიწოლილა. როგორ უნდა ჩამოგვეყვანა? ახლა ახალი დარდი გაგვიჩნდა. გაჭირებულის საშველად მონადირენი გამოჩნდებოდენ, მაგრამ სწორედ ამ დროს საღამომაც მოატანა: ამ ადგილას ასვლისას სულ ჩამობნელდებოდა და მაშინ კირვალიასაც ვერას უშველიდენ და თვითონაც დაიღუპებოდენ ტყუილა-უბრალოდ. რა უნდა გვექნა! დავფიქრდით ყველანი. ლევანი საშინლად იყო დაღონებული, თვალებზე ცრემლები მოადგა; საშინლად ებრალებოდა საცოდავი ბიჭი და უნდოდა უეჭველად ეხსნა გაჭირვებული ყმაწვილი.

– ჩემო შვილო! – დაუყვირა, რაც ხმა ერჩოდა, კირვალიას,– თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ლევანი გიყვარს, იწექ და არ გაინძრე. ჩემს თავს გეფიცები, შვილები არ დამეხოცება, ხვალ დილას უვნებელს ჩამოგიყვან. მხოლოდ იწექი და აღარ გაინძრე. ნუ შეგეშინდება და ჩვენს ძახილზე როგორც შეგეძლოს, ისე გვიპასუხე.

– დიდხანს ვიდექით დაფიქრებულნი; არ ვიცოდით, რა გვექნა. ვცდილობდით ხმა მიგვეწვდინა, იქნება შენძრეულიყო და სიცოცხლის ნიშან-წყალი რამე დაენახვებინა ჩვენთვის. მაგრამ მხოლოდ თავს ვიტყუილებდით, მეტი არაფერი. ვიღაცამ ჩაილაპარაკა: ყველაფერი მორჩომილია, ვერაფერს ვუშველით; ისევ ისა სჯობია – მღვდელი ვიხმოთ, პანაშვიდი გადავახდევინოთ და თითონ კირვალია სვავ-ყორნების საწიწკნად დავაგდოთო. ფიქრებისაგან ყველანი მთავრის კაპარაკზე გამოვერკვიენით. – ჩემო შვილებო,– გვითხრა მთავარმა, – გუშინ ამ ბიჭს შევფიცე გასაჭირისაგან გიხსნი-მეთქი; უნდა როგორმე ჩამოვიყვანოთ, და თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ ჩემის ფეხით და მე ჩამოვიყვან, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც.

„ამ სიტყვებს შემდეგ ურჩობა არ შეიძლებოდა. ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ მთავარს ფუჭად ლაპარაკი არ უყვარდა, თავის ნათქვამი კაცი იყო.

„წინ წამოდგა ოქროპირი. კლდე შალი იყო და წინწაშვერილ ქიმების შემწეობითღა შეიძლებოდა ბობდვა. ოქროპირმა თოკები მოითხოვა. მაშინათვე მივაწოდეთ, რამდენიც საჭირო იყო: ზოგს ქამარში გვქონდა, დანარჩენი უნაგირებს მოვხსენით ყველა და ისე მივეცით. თოკებიანად გასწია ოქროპირმა. როცა კი შეიძლებოდა, ქვებს მოაბამდა ხოლმე თოკს და მარყუჟებს აკეთებდა კიბესებ, ისე, რომ კაცს ადვილათ შეეძლო იმით ასვლა. ოქროპირი დიდხანს მუშაობდა და წინ უეჭველის ნაბიჯით იწევდა და სულ მაღლა-მაღლა ადიოდა. კლდის ნახევრამდე უკვე ავიდა, ისე უცბად გაჩერდა. ყველანი იმას შევსცქეროდით, სულ-გაანბულნი. მოგვიბრუნდა და ძლივს გასაგონის ხმით გვითხრა: მეტი ასვლა ვეღარ შემიძლიანო. მთავარმა შეჰყვირა, ძირს დაეშვიო. ოქროპირი ნელ-ნელა დაეშვა. წამ-და-უწუმ ჩერდებოდა და თავის მიერ გაკეთებულ კვანძებს ეძებდა ფეხის გასაყრელად. ძირს ჩამოვიდა თუ არა, მკვდარივით გაიშხლართა.

„მაშინ სიკომ წვერი გამოართვა, პირჯვარი გადაისახა და ოქროპირის გაკეთებულის კიბით ასვლა იწყო. ჯიხვივით აიჭრა იმ ადგილამდე, სადაც ოქროპირი შედგა და მისი დაწყებული მუშაობა განაგრძო. ბოლოს მიაღწია იმ ადგილს, სადაც კირვალია იწვა.

„საცოდავს გადაუბერტყა ზევიდან წაყრილი თოვლი, დიდსხანსა შინჯავდა და ბოლოს, რაც ხმა ერჩოდა, დაგვიყვირა: ცოცხალიაო. ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაგვიყვირა–ვინმე მომაშველეთო. კიბით ბატაია ორბელია ავიდა, მისათვის ადვილი იყო მზამზარეული კიბით ასვლა. ხელად აცოცდა და სიკოსთან ერთად უხიფათოდ ჩამოტანეს ქვევით სიცივისგან გაშეშებული კირვალია.

– მერე მოსულიერდა? – სიტყვა გააწყვეტინა გოგიას საბახთარმა.

– სწორედ სასწაული მოხდა: მოსულიერდა. დაუზილეს კარგად ტანი და ღვინომაც უშველა.

– რა თქმა უნდა, ვისაც სიკვდილი არ უწერია, რაც უნდა დაემართოს, ცოცხალი დარჩება,– შენიშნა ერთმა მსმენელთაგანმა.

– აბა ლევანს გაეხარდებოდა, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად გათავდა! – სიტყვა ჩაურთო თავადმა.

– გაეხარდა და იგრე!.. კირვალიას იმიტომ, რომ გაუგონა და უნძრევლად იწვა კლდის წვერზე, უღელი ხარი აჩუქა; სიკო, ბატაია და მათი შთამომავლობა გააზატა და თითო თოფი აჩუქა; ოქროპირს კი ისეთი სახნავი მიწა უბოძა, რომ მის შემდეგ გლეხმა სამუდამოთ სული მოითქვა, ლევანი კაცი კი არა, ანგელოზი იყო, ანგელოზი, მისის საარაკო გულკეთილობის ამბავი მთელ დუნიაზე ყველამ იცოდა!

– მართალი ხარ, გოგია,– დასძინა თავადმა, – სხვისათვის სულიც არ ეშურებოდა; რასაც იშოვიდა, მაშინვე სხვებს ურიგებდა.

მასპინძელმა როცა დაინახა, რომ გოგიამ თავისი ამბავი გაათავაო, მოწიწებით მიუახლოვდა ბატონსა და ჰკითხა, დრო თუ იყო ვახშმის მიტანისა. და როცა თავადმა უთხრა, მოიტანეო, ისიც სწრაფად გავიდა სახლიდან.

არ გაუვლია ერთ წუთს, მასპინძელი ისევ შემოვიდა; ხელში დოქი ეჭირა, უკან მეორე მისდევდა, იმას კი ტასტი მოჰქონდა, მესამეს პირსახოცი ჰქონდა მხარზე გადაგდებული. ფაცხაში რომ შემოვიდნენ, მწკრივად დადგნენ და ბრძანებას დაუწყეს ლოდინი. ბეკომ თავი დაუქნია და ტაშტიანმა მის წინ დაიჩოქა. ბახვამ დოქით წყალი დაუსხა ხელზე, ხოლო მესამემ პისახოცი მიართვა. დამსწრეთაგანმა ყველამ დაიბანა ხელი. შემოიტანეს ტაბაკები და წინ დაუდგეს ტახტზე მჯდომარეთ. თავადს გვერდით მოუჯდა მდვდელი, იმას იქით მდივანი, შემდეგ კოსტა და სხვები. ფაცხის მეორე მხარეს სუფრას გოგია და ამალის სხვა წევრები მოუსხდნენ. ზეზე იდგნენ მასპინძელი და მისი ცოლშვილი.

ტაბაკები რო დადგეს, მსახურნი ისევ გავიდნენ ცოტახნით და შემოიტანეს დიდი კარდალით ღომი და ყოველ სტუმარს ტაბაკზე წინ დაუდვეს ჩოგნით ორ-ორი დაგება ცხელი ღომი. ამავე დროს სტუმრებს წინ ჭიქები დაუდგეს, ხოლო ბეკოს მისი სამგზავრო ვერცხლის ჭიქა. მსახურნი ისევ გავიდენ და შემოიტანეს ხონჩა, რომელზედაც დაჭრილი შემწვარ ქათმის ხორცი ელაგა. თავადთან ყველაფერი პატარა თეფშებით მოჭქონდათ, ხოლო სხვებს პირდაპირ ტაბაკზე უწყობდენ.

როდესაც ყველას ჩამოურიგეს საჭმელი, მღვდელი წამოდგა, „მამაო ჩვენო! სთქვა, სუფრა აკურთხა და ყველანი ჭამას შეუდგნენ.

მსახურნი საოცარის სიმარჯვით დადიოდენ. შემოტანეს რამდენიმე კოკა ღვინო, ვაზის ფოთლებით თავებდაცმულები. სტუმრებს დაუსხეს ღვინო, მაგრამ ჭიქას არავინ ჰკიდებს ხელსა, სანამ თვით თავადმა არ აიღო პირველად ჭიქა ხელში, მოიხადა ქუდი, როგორც მღვდლის მიერ ლოცვის თქმის დროს, და წარმოსთქვა: „დიდება ღმერთსა, ღმერთო, შენ გაგვიმარჯვე!“ მერე დამსწრეთ თავი დაუქნია, ქუდი დაიხურა და ჭიქა გამოსცალა. ამავე დროს დამსწრეთ უპასუხეს: „ღმერთმა გაგიმარჯოს!“ და ყველამ თავ-თავის ჭიქას მოჰკიდა ხელი.

პირველ თავ საჭმელს სხვა მოჰყვა: შემოიტანეს ქათამი მჟავე საწებლიანი, ინდოურის საცივი, მოხარშული კრავი, მერე ბეჭი.

ყველანი ხელითა სჭამდენ, თითოეული მათგანი მეგრულის დანით ითლიდა ხორცს. ყოველ თავს საჭმელიდან თავადი კარგ ნაჭერს აიღებდა და უძღვნიდა თავისს იმ თანამოსუფრალთაგანს, რომლისათვისაც თავის კეთილგანწყობილების გამოცხადება სურდა. ძღვნის მიმღები ადგებოდა, ფაფანაკს მოიხდიდა და მადლობას მოახსენებდა.

როცა ღვინო კაი ძალი დაილია, წამოდგა კოსტა, ფაფანაკი მოიხადა და თავადს სიმღერის ნება სთხოვა. თავადმაც მხიარულათ გადიქნია თავი, და ერთს წუთს შემდეგ გაისმა მშვენიერი სიმღერა. თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა.

სომღერას ბოლო არც-კი მოეღებოდა, რომ ძალზე დაღლილს ბეკოს არ ეთქვა მომღერლებისათვის – გაჩუმებულიყვნენ.

თავადის ამალა თანდათან შეთხელდა. ნელ-ნელა გამოდიოდენ ფაცხიდან. შიგ დარჩნენ მხოლოდ: მღვდელი, მდივანი და გოგია. ბოლოს იმათაც მდაბლად თავი დაუკრეს თავადს და სხვა, იმავე ეზოში მდგარ, ფაცხებისაკენ გაემართნენ დასაძინებლად. კოსტამა და სახლის პატრონმა თავადს ქვეშსაგები შემოუტანეს და ტახტზე გაუშალეს. თავადი საღამოს ლოცვად დადგა. მთელ ნახევარ საათს ლოცულობდა ბეკო და რამდენიმე მეტანიაც ჰქნა. ბერუკა ჯიქიასაგანა ჰქონდა ჩანერგილი ღვთის მოკრძალება და ლოცვის სიყვარული. ფაცხაში ბახვა და კოსტა სულგანაბულნი იდგნენ, რომ ბატონისათვის ხელი არ შეეშალნათ. მერე თავადმა მათის შემწეობით ტანთ გაიხადა და დაწვა. კოსტამ თავი დაუკრა და გავიდა. ბატონთან მხოლოდ ბახვა დარჩა.

ფრთხილათ მიუახლოვდა ბახვა კერას, ახალი ფიჩხი დააყარა და ცეცხლს ბერვა დაუწყო. სიცხისა და კვამლისაგან დანაოჭებულ სახეზე რაღაც სურვილი ეხატებოდა: ხან ცეცხლს დააცქერდებოდა და ხანაც თავადს გადახედავდა; ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ჩაახველა. თავადი მისკენ მოტრიალდა და თვალები გაახილა. ბახვას სახეზე მაცთურობა და ლაქუცი დაეტყო.

– შენა ხარ?–ჰკითხა თავადმა.–ხომ მშვიდობაა შენს სახლში?

– მადლობა ღმერთს, შენის წყალობით სული გვიდგას, ბატონო,–უპასუხა ბახვამ სვენებით,– უკეთესად ვიქნებოდი, მაგრამ... – ბახვას ენა დაება.

– რა იყო?

– არაფერი, ბატონო, ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, და ჩვენ...

– როგორ არაფერი? თქვი? თქვი, რა გვაქვს სათქმელი?

– რა უნდა მქონდეს სათქმელი, შენი ჭირიმე! ღმერთს იმას ვეხვეწები, თქვენი თავი გვიცოცხლოს, ჩვენ კი, ვინც რა უნდა გვიყოს, ამისათვის თქვენ აბა როგორ უნდა შეგაწუხოთ!

– ვინ რა დაგვიშავა, რატომ არ მეტყვი?

– აბა ვინ იქნება, ბატონო! მდივანბეგი... სულს გვართმევს ბატონო. ხანჯალურით*) დაგაბამო, მემუქრება, ქურდობაზე ხელი უნდა აიღოვო (ხანჯალური–რკინის ჯაჭვია, რომლითაც ბატონყმობის დროს სამეგრელოში ყმებს აბამდენ ხოლმე დასასჯელად).

– შენ რაღას ეუბნები?

– რაღა უნდა ვუთხრა! თავი რიღათი ვირჩინო? ჩემი მამა-პაპა ქურდობით ცხოვრობდენ და მეც ეს ხელობა მასწავლეს. მეუბნება: მე იმას არ დაგიდევ, თუ ვისი ყმა ხარო; ქვესკნელში რომ ჩახვიდე, იქაც კი მოგძებნიო, ვერსად დამემალებიო. თვით შენის ბატონის სახლიდან გამოგათრევ და შეგკრავო.

– აი, უწინამც დღე დაქცევია, სანამ ამას გაჰბედავს, ის მუდრეგი, ისა! – წამოიძახა თავადმა ბეკომ და ერთბაშად გადმოტრიალდა ლეიბზე.

– „მე იმის არ მეშინია, რომ შენი ბატონი თავადია, პირდაპირ სახლში მივუხტები და შენ იქიდან წამოგათრევო“, მემუქრება.

– კაი ბიჭია და მობრძანდეს, ერთი ჩემი მათრახების სუსხიცა ნახოს“

– დამიფარე, შენის მუხლის ჭირიმე, ბატონო, – დაიკვნესა ბახვამ და თავადის ფეხებს კოცნა დაუწყო. – ისეთი ძღვენი მოგართვა, რომ უკეთესი კაცის თვალს არ ენახოს.

– კარგი, კარგი, წადი, ხვალ კიდევ მოვილაპარაკებთ. ახლა მეძინა. არა ვერ უყურებ იმ ოხერს, რეებს მიჰქარავს!... მე, საბახთარს, სახლიდან ყმები უნდა მომტაცოს!.. – ბუტბუტებდა ბრაზმორეული თავადი და მერე გვერდზე გადატრიალდა.

მალე ყოველივე მიჩუმდა. არ ეძინათ მხოლოდ ტურებს. მაგრამ მათს მკვეთრს, გულის გამაწვრილებელ ჩხავილს ისე იყვნენ აქაურნი მცხოვრებნი მიჩვეულნი, რომ ამის მიზეზით ძილი არავის გაუკრთებოდა.

ეს აღწერა მეგრელთა ცხოვრების მახლობელ წარსულისა მკითხველს დაუჯერებლად ეჩვენება, თუ ამ მხარეს ახლა ნახავს. დიდი ცვლილება მოხდა სამეგრელოში, მაგრამ ამასთან ამავე ხნის განმავლობაში რამდენი რამ გამოიარა ამ მხარემ!...

ყირიმის ომის დროს მთელის ექვსის თვის განმავლობაში ომერ-ფაშა ბატონობდა ამ მხარეში. 1857წელს გადავარდა მთავრის გამგეობა და ამის მაგიერ რუსის მმართველობა იქნება შემოღებული; 1866 წ. როცა თავადი ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი გახდა, თავის ნებით ხელი აიღო მთავრის უფლებებზე და სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა საბოლოოდ. 1869 წ. ბატონყმობა გადავარდა. ამას მოჰყვა მომრიგებელი სასამართლოების შემოღება.

ყოველსავე ამასთან ამ მხარეში გაჰყავდათ შოსეს გზები, გაიყვანეს რკინის გზა, რომელმაც შავი ზღვა კასპის ზღვას შეუერთა ხალხის ნივთიერი მდგომარეობა თან-და-თან იზრდებოდა; ფაცხების ადგილას ოდები წამოჭრეს; ვაჭრობა განვითარდა იმ ზომამდე, რომ აქაური საქონელი მილიონობით გააქვსთ რუსეთისა და საზღვარგარეთის ნავთსადგურებში.

გაქრნენ, რა თქმა უნდა, სამუდამოდ ისეთი ტიპებიც, როგორიც იყო საბახთარი და მისი ამალა.

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს **კლიმენტი შელიას** *წიგნიდან*

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

ლევან სანიკიძე

როდესაც პროფესორი გ. ჭელიძე მიუთითებს ქართული და ეტრუსკული სიტყვების თანხვედრილობაზე, აღნიშნავს, რომ ინდოევროპელთა – ბერძენთა, იტალიელთა, ესპანელთა – გამოჩენამდე ამ ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ მაღალი ცივილიზაციის, მაღალი კულტურის წინაბერძნული, წინაიტალიური ტომები პელაზგები და ეტრუსკები, რომლებიც კოლხური (ქართული) მოდგმის ხალხების **"უწინარესი წინაპრები იყვნენ"**. (გ.ჭელიძე).

კიდევ ერთხელ ვიტყვი: ქართველი მეცნიერების – მ. აბდუშელიშვილის, ზ. ალექსიძის, თ. ბერაძის, გ. გიორგაძის, ვ. გოილაძის, რ. გორდეზიანის, მ. ინაძის, ნ. ლომოურის, მ. ლორთქიფანიძის, ო. ლორთქიფანიძის, თ. მიბჩუანის, რ. მიქელაძის, ა. შონიას, გ. ჭელიძის და სხვათა მონაცემებით, რომელიც დადასტურებულია მსოფლიო მეცნიერებაში, ქართველთა (კოლხთა) შორეულ წინაპრებს, როგორც აღნიშნულია, ეკავათ ვრცელი განფენილობის ტერიტორია ხმელთაშუა ზღვისპირეთის, წინა აზიის-შუამდინარეთის, ჩრდილოეთ ინდოეთის რეგიონებში და მსოფლიოში დატოვეს უმნიშვნელოვანესი კულტურული კვალი. მათ ტომობრივ სუბსტრატს ძირითადად ქმნიდნენ კოლხური (ქართული) მოდგმის ტომები პელაზგები და მათი გენეტიკური ნაშიერები ეტრუსკები (გ. ჭელიძე).

* * *

ერთ-ერთ სკანდალურ ინტერნეტგამოცემაში აღნიშნულია: **"ეთნოგრაფების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მეგრელები არიან კოლხეთის ავტოქტონური მოსახლეობის შთამომავლები... მეგრელები თავს მიიჩნევენ არა მხოლოდ საქართველოს უძველეს ადგილობრივ მოსახლეობად, არა მხოლოდ ლეგენდარული კოლხების შთამომავლებად, არამედ ყველაზე "სუფთა" ერად, რომლებიც არასოდეს იყვნენ დაპყრობილნი თურქების ან სხვა ერების მიერ, არ ქორწინდებოდნენ უცხო ტომელებზე. ქართველებს არ უყვართ მეგრელები, რადგან შურთ მათი ზნეობა, კულტურა და მშვენიერი მიწა... მეგრელები ქართველები გახდნენ სტალინის დროს, 1926 წელს მოსახლეობის აღწერისას, იქამდე მათ დამოუკიდებელ ეთნოსად მიიჩნევდნენ"**. აი, ასეთი დახასიათების შემდეგ მიუთითებს, რომ გეოპოლიტიკის ფუძემდებელი ფრიდრიხ რატცელი (1844-1904) მეგრელებს ქართველებისაგან მკვეთრად გამოყოფს, თუმცა, მიუთითებს მათ ნათესაობაზეო (გაზეთი **"ჯორჯიან თაიმსი"**, 2005 წლის 4-11 აგვისტო, №30).

აი, ჩვენი მტერი რანაირ პროპაგანდას ეწევა.

აქვე მინდა **"ავიმაღლო" "ხმა ერის გასაგონად"** თუ არა, აღნიშნული სტატიის ავტორების, პირველ რიგში პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის საყურადღებოდ, რომელიც, ჩემი აზრით, ერთგვარ წინააღმდეგობაში ჩავარდა. პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე, თურქეთში ქართული დიასპორის მხარდამჭერის გია ოქრობაგელხეველთან საუბარში, ეხება საბჭოთა ცნობილ ენათმეცნიერს ალექსანდრე გრებს, რომელიც წერს, რომ ქართველები მეგრელებს ჩაგრავენ და უძველესი ხალხისათვის – მეგრელებისათვის დამწერლობა აუცილებლად მიაჩნდა. ა. გრებმა თავის მეგრულ გრამატიკაში მეგრული დამწერლობის საფუძვლად რუსული გრაფიკა შეარჩია (გაზეთი **"ჯორჯიან თაიმსი"**, 2005 წლის 1-181 აგვისტო, №31). ა. გრების თვალსაზრისი მოტანილი მაქვს თ. გვანცელაძის აღნიშნული საუბრიდან.

პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე და მიმართვის სხვა ათი ხელმომწერი უმძიმეს, შეიძლება ითქვას, **"სასიკვდილო"** დარტყმას აყენებს თურქეთში მცხოვრებ ლაზებს, რომლებიც საუკუნეებია იბრძვიან ენის შენარჩუნებისათვის (ერთგვარად აღწევენ ამას) და, ასევე, ათეული წლებია, იბრძვიან ლაზური დამწერლობის შექმნისათვის. თქვენ მათ ეუბნებით: მეგრულ-ლაზური ენა არ არსებობსო და მათ გადაგვარებას – გათურქებას უწყობთ ხელს. იქ მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი **"თურქია"**. რას ეუბნებით, **"ლაზური ენისა და კულტურის საერთაშორისო საზოგადოება "ლაზურას"** – იქ სხვა ქართული ორგანიზაციებიც არსებობს, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში გმირულად იბრძვიან ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების – ე.ი. ქართველობის შენარჩუნებისათვის. თქვენ, ფაქტობრივად, ამის წინააღმდეგ იბრძვით.

როგორც თვითონ ლაზები ამბობენ, უკანასკნელ პერიოდში ერთგვარ, უმნიშვნელო წარმატებას მიაღწიეს: დაარსდა რადიო **"ლაზებურა"**, გამოვიდა ლაზური ენის გრამატიკა, ლაზური ზღაპრების რამდენიმე კრებული, ლაზური ენის ლექსიკონები, იმედი აქვთ მალე, თურქეთის მთავრობის ხელშეწყობით და კანონის საფუძველზე, დაიწყება ტელემაუწყებლობა ლაზურ ენაზე.

"ათეულის" მიმართვაზე აზრი გამოთქვა შესანიშნავმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ლევან ფრუიძემ. ის ამბობს: **"თუ უფრო ადრე არა, ბრინჯაოს ხანიდან ერთიან და მთლიან ქართულ ეთნოსს ეთნიკური თვითშეცნება** (სულმნათ ივანე ჯავახიშვილის ტერმინის) **ისე მტკიცედ აქვს ჩამოყალიბებული, მტერი ვერაფერს დააკლებს..."** სწორედ ამის დამტკიცებას ვცდილობთ, ბატონო ლევან! (ერთხელ კიდევ გადახედეთ ანზორ შონიას ზემოთ მითითებულ ნაშრომებს და ამაში დარწმუნდებით).

მაგრამ მეცნიერთა ერთ ნაწილს ვერ წარმოუდგენია, რომ საქართველო ოდესმე ერთიანი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო. ალბათ ფიქრობენ: ამ შემთხვევაში წამოიწევს ძველი კოლხეთის სახელოვანი წარსული. ეს, ეტყობა, შეურაცხყოფად მიაჩნიათ!

ლ. ფრუიძე გულწრფელად წერს: **"თუ მტერი ქართულ ენას ამ შენაკადებს წაართმევს, ქართული ენა დაიშლება და რომ ეს არ მოხდეს, თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ სვანურ და მეგრულ ენებს"** (ლევან ფრუიძე, კიდევ კარგი ხმა ამოიღეთ! გამოხმაურება მიმართვაზე **"... ან ჭკვიანი მტერია, ან უგნური მოყვარე"**. გაზეთი "**საქართველოს რესპუბლიკა**", 2005 წელი, 15 დეკემბერი.)

* * *

გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკაში"** (2006 წლის თებერვალ-მარტი) გამოქვეყნდა გამოჩენილი მეცნიერისა და მოღვაწის, საქართველოს საპარტიარქოსთან არსებული ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, მიტროპოლიტის, არა მარტო საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის დიდი სპეციალისტის, პროფესორ ანანია ჯაფარიძის წერილების სერია (გაგრძელებებით; სულ 6 სტატია): **"ქართიზაციის"** იმპერიულ-საბჭოური თეორია. საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა **"Православная Энциклопедия"-ს ტომეულებში"**, რომლებშიც გაკრიტიკებულია აკადემიკოსები ნიკო მარი, სიმონ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევების ავტორები. ფაქტობრივად გაკრიტიკებული არიან დ. ბაქრაძე, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, (თუმცა გაკრიტიკებულებს შორის მათი გვარები არ არის ნახსენები), რომელთა შრომების მიხედვით და ბევრის უშუალო მონაწილეობით არის შექმნილი საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ასევე, რა ვუთხრათ ისეთ მეცნიერებს, რომლებიც ქმნიდნენ, შექმნეს და ქმნიან საქართველოს ისტორიას, სწორედ მათი შრომებითაა (ზემოთ აღნიშნულ ავტორთა გარდა) შექმნილი საქართველოს ისტორია: მ. აბდუშელიშვილი, ზ. ალექსიძე, ი. ანთელავა, თ. ბერაძე, ვ. გოილაძე, გ. გიორგაძე, რ. გორდეზიანი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ს. ყაუხჩიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ნ. ხაზარაძე და სხვები (ბოდიშს მოვითხოვ, ყველა ვერ ჩამოვთვალე).

საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის გამოცემას ხელმძღვანელობდნენ გიორგი მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), ირაკლი ანთელავა, ვარლამ დონდუა, მამია დუმბაძე, იური კაჭარავა, შოთა მესხია, ნიკოლოზ სტურუა, აკაკი აურგულაძე. პირველი ხუთი ტომი მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან 1900 წლამდე, ხოლო VI-VIII ტომი – აღნიშნული დროიდან 1975 წლამდე.

რა თქმა უნდა, ყველა ტომს მეტნაკლებად ამჩნევია კომუნისტური იდეოლოგიის სუსხი, სამი ბოლო ტომი (VI-VIII) შესაცვლელია ისე, როგორც 1984 წელს გამოცემული **"საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე"** (ე.ი. 1985 წლამდე, 46 თაბახი) – დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი მეც ვარ. ამ წიგნების ძირითად სახელმძღვანელოდ გამოყენება მიზანშეწონილი არ იქნება.

დიდად პატივცემული ბატონი ანანია ჯაფარიძე რამდენჯერმე იმეორებს და სრულიად სამართლიანადაც ადასტურებს, რომ "**ეთნიკურად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყო ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო და ერთიანი კულტურის ენით**" (გაზეთი **"საქართველოს რესპუბლიკა"**, 2006 წლის 28 თებერვალი-8 მარტი, №45-46). იქვე აგრძელებს: **"უძველესი დროიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ეთნოსი, ერთი ხალხი, ერთი ენის მქონე ეთნოსი იყო"**. ეს არის უაღრესად მართებული და სწორი დებულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად ამ დებულების დამტკიცებას მიუძღვნა სქელტანიანი ნაშრომი ანზორ შონიამ, რომელიც გამოკვეთილად ადასტურებს:

"ერის კონსოლიდაციის საქმეში ჩნდებოდა შანსი ქართულ მეცნიერებაში რადიკალურად აღებული ყოფილიყო კურსი იმის დასამტკიცებლად, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველებს ერთი წარმომავლობა აქვთ და მათში საერთო ეთნოსი დომინანტია, რასაც უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს", "ქართლელების, მეგრელების, ლაზების და სვანების წინაპრები ერთ ენაზე მეტყველებდნენ", – პრექართულზე ლაპარაკობდნენ, ოღონდ სხვადასხვა დიალექტზე. შემდეგ მოხდა დიფერენციაცია.

ბატონი ანანია ჯაფარიძე ჭეშმარიტებას ბრძანებს, რომ საქართველოს მოსახლეობა ერთი ეთნოსი, ერთი ხალხი იყო, მაგრამ რა ვუყოთ იმათ, რომლებიც ამ ჭეშმარიტებას არ იზიარებენ (ისინი მრავლად არიან, ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი). კიდევ ერთი მაგალითი: ა. შონია აღნიშნავს: **"პროფ. გ. ყორანაშვილისათვის, ეტყობა, უცხოა ეროვნული სიამაყის გრძნობა, ვფიქრობ, მისთვის მთავარია ერის წინაშე კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლის და კოლხების (მეგრელების) დამსახურების დამცირება, თითქოს ეს საქართველოსა და ქართველის შეურაცხყოფა არ იყოს"...** ის (გ. ყორანაშვილი) **"ისე წერს, თითქოს კოლხეთი საქართველო არ იყო და არც კოლხები იყვნენ ქართველები"** და აგრძელებს **"ისტორიული წყაროები არ იძლევა საშუალებას აღსდგეს "ძველ ეპოქაში საქართველოში არსებული სურათი", თითქმის ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე წყაროებში საერთოდ ნახსენები არ არის აღმოსავლეთ საქართველო და ვინ ცხოვრობდა იქ... "აღმოსავლეთ საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე რაიმე ცივილიზაციის არსებობაზე არავითარი წყარო არ არსებობს"** (ანზორ შონია. ეგრისის სამეფო... გვ. 25-26).

მეცნიერთა ნაწილი იბერიის (ქართლის) სამეფოს მიიჩნევს ძველი წელთაღრიცხვის XII-IX საუკუნეებში მცირე აზიაში არსებულ **"დაიაენის"** თუ **"დიაუხის"** მემკვიდრედ. აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მთელი სამხრეთ კავკასია კასპიის ზღვამდე, რომ ამ ზღვისპირეთში დღემდე ვხვდებით მეფე აიეტთან დაკავშირებულ საკულტო სახელებს და მიუთითებს, რომ შესაძლებელია ქართული ეთნოსის შექმნაში უპირატესობა კოლხებს მიეცეს.

ბატონი ანანია ჯაფარიძე წერს, თუ როგორ არის დამახინჯებული მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში და მასზე დართულ რუქაზე მითითებული ჰერები ვითომ ალბანები არიან, რომ VI საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა (ალბანეთის საკათალიკოსოსოც), **"ეს უკანასკნელი კი თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრებად მიაჩნიათ"** (და ამაში ბრალს სდებს ქართველ მეცნიერებს), ამას ხელოვნურად აკეთებენ აზერბაიჯანელი სწავლულები, მაგრამ, ვფიქრობთ, არაფერი დაუშავებიათ ქართველ ისტორიკოსებს, კერძოდ ლორთქიფანიძეს, რომლის ავტორობითაა დაწერილი საქართველოს ისტორიის ნარკვევების VII თავი – **"ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა"**. ავტორს მოხმობილი აქვს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისი, რომ ჰერეთის კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართულ ტომებთან, ქართლის მიერ ჰერეთის ტერიტორიის პოლიტიკურ შერწყმასთან ერთად მიმდინარეობდა. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის მეორე ტომის რედაქტორია აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა მესხია. გამოჩენილ მეცნიერთა ზემოთ მოყვანილი დებულებები სწორი ჩანს, მით უმეტეს, საქართველოს აღნიშნული პერიოდის ისტორია ისეთი დიდებულია, რომ მას შელამაზება და **"გაბუქვა"** სრულებითაც არ სჭირდება.

შოთა მესხია და დავით მუსხელიშვილი ცნობილი მეცნიერები არიან, ისინი ქართველი ერის ღირსება, სინდისი და სახელია.

ჰერეთ-ალბანეთის ისტორიის საკითხებზე ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ, მოვიხმეთ ცნობილი მეცნიერების შეხედულება-თვალსაზრისი, თუ რომელ ენაზე მეტყველებდნენ ალბანეთში, ჰერეთში მცხოვრები ხალხები, მითითებულია IX საუკუნის ბიზანტიის ენციკლოპედია, იოსებ ყიფშიძის, ანზორ შონიას და ზოგიერთ სხვა მკვლევართა შრომები.

კლიმენტი შელია
აკადემიკოსი,
დამსახურებული მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზიკა, ლაზეთი – უდიდესი ქართული ტკივილი

ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას

თანაც ერთი გარემოება იწვევს გაუგებრობას – მარგვეთი სამთავრო არასდროს ყოფილა, ის ეგრისის სამეფოს რიგითი საერისთავო იყო და დავითი და კონსტანტინე არ შეიძლებოდა მთავრები ყოფილიყვნენ. უფრო მეტი, ისინი არც ერისთავები იქნებოდნენ, ვინაიდან, იმ ეპოქაში, მარგვეთის მფლობელი ერისთავები ლაზი დიდებულები – ბაღვაშები იყვნენ. თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

მართალია, VIII საუკუნეში ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზები უკვე არ ჩანან, მაგრამ ლაზიკის სამეფომ უდიდესი როლი შეასრულა ეგრისის სამეფოს ისტორიაში. ლაზური დინასტიის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ მის სათავეში იმ ეპოქაში, რომელიც გადამწყვეტი იყო ეგრისის სინამდვილეში.

სწორედ ლაზეთის ეპოქაში აღსდგა ეგრისის სამეფო, დაბრუნდა ისტორიული ტერიტორიები. ეტყობა, იმ ეპოქაში, ეგრისის სამეფო ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ბიზანტიის იმპერიას.

ქართველი მეცნიერები ლაზიკის სამეფოს **"ახალი ეგრისის სამეფოდ"** მოიხსენიებენ და ლაზიკის ეპოქას კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს მესამე აღორძინებად მიიჩნევენ.

როდიდან აღარ იყო ლაზური დინასტია ეგრისის სამეფოს სათავეში და რამ განაპირობა ეს მოვლენა, სხვა საკითხია, მაგრამ, VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი საერისთავოს, აფხაზეთის მმართველი დინასტია, და აქედან დაწყებული, თითქმის XI საუკუნემდე ეგრისის სამეფოს ეწოდა **"აფხაზთა სამეფო"** და მის მკვიდრ მოსახლეებს – **"აფხაზები"**.

ლაზიკა და ლაზები, VIII საუკუნიდან, თითქოს, გადიან ეგრისის პოლიტიკური ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ასე არ იყო. ლაზიკა და ლაზები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ აფხაზთა სამეფოში და დიდი წვლილიც შეიტანეს საქართველოს გაერთიანებაში...

...დაეჭვება იმაში, რომ ლაზიკა საქართველოს ღვიძლი ნაწილი იყო და ლაზები ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ, ყოველ საფუძველს მოკლებულია.

თამარ მეფის ეპოქაში, 1203 წელს, ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ქართული სამეფო ოჯახის ნათესავები, კომნენები.

მართალია, ქართველი მეცნიერები არ აღიარებენ, მაგრამ შეუძლებელია, ეს თამარ მეფის ინიციატივით მომხდარიყო. ეტყობა, აქ გადამწყვეტი როლი ბიზანტიის იმპერიამ ითამაშა.

თითქოს ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ვასალ ქვეყანად ითვლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ის უფრო გავლენის ქვეშ იყო, მით უმეტეს, ტერიტორიულადაც უფრო ახლოს იყო ბიზანტიის იმპერიის ცენტრთან, ვიდრე თბილისთან.

ეს მოვლენა მაშინ ქართველ ხალხს ტრაგედიად არ აღუთქვამს, ვინაიდან ბიზანტია და საქართველო ერთმორწმუნე და მეგობარი ქვეყნები იყვნენ, მაგრამ, რეალურად, აქედან დაიწყო საქართველოს დაშლა და, ფაქტობრივად, ამის შემდეგ ლაზიკა და ლაზები საქართველოს ისტორიაში, თითქმის არ იხსენიებიან.

ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც ისევ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, ჩამოყალიბდა გურიის საერისთავო და მისი ერისთავი გახდა ერთიან საქართველოში მთელი დასავლეთ საქართველოს **"უცილოდ"** პატრონის ვარდან დადიანის მოგვარე. შესაძლებელია, ყოფილიყო მისი ან ძმა, ან შვილი, რომელიც იწოდებოდა გურიელ-დადიანად.

აჭარა მაშინ ადმინისტრაციული ერთეული არ იყო და ის გურიის საერისთავოში შედიოდა.

სამწუხაროდ, ისტორიული მოვლენების შედეგად, XIII საუკუნეში, საქართველო, ფაქტობრივად, დაიშალა და სათავე დაუდო ორმეფობის მოვლენას (1249 წ.). აღმოსავლეთ საქართველოში დაჯდა მეფე დავით VI-ულუ (1249-1263 წ.წ.), ხოლო დასავლეთ საქართველოში – მეფე დავით VI ნარინი.

მართალია, მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1316-1263 წ.წ.) თითქოს შესძლო საქართველოს ისევ გაერთიანება და ტრაპიზონის იმპერიის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევაც, მაგრამ XV საუკუნეში, საქართველო საბოლოოდ დაიშალა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ საქართველოს ვერ ეღირსა გაერთიანება.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის (I-XII საუკუნეები) ამ ეპოქაში, ქართული სამეფო-სამთავროებიდან, ლაზიკის სამეფომ და ლაზებმა უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს სინამდვილეში. თითქმის 6 საუკუნე (III-VIII საუკუნეები) დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს სათავეში იმყოფებოდა ლაზური დინასტია და ეგრისის სამეფოს **"ლაზიკის სამეფოდ"** მოიხსენიებდნენ. უფრო მეტი, სანამ არსებობდა ბიზანტიის იმპერია (XV საუკ.), მთელ დასავლეთ საქართველოს, ყოველთვის, ლაზიკის სამეფოდ და მოსახლეობას ლაზებად მოიხსენიებდნენ.

ეგრისის სამეფოში ლაზების ზეობის ეპოქაში ეგრისის სამეფო ისევ აღსდგა ძველ საზღვრებში, რომლებიც ეკავა კოლხეთის სამეფოს. სწორედ მაშინ დაარსდა, ეგრისის სამეფოს უკიდურეს ჩრდილო საზღვარზე, ქალაქი **"ლაზიკე"**, რომელსაც შემდგომში ნიკოფსია ეწოდა (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები)...

...VIII საუკუნეში მარგვეთის სამეფოს მფლობელად დიდი ლაზი ფეოდალი რატი I ბაღვაში გვევლინება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბაღვაშები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მათ მოღვაწეობაზე გავამახვილო ყურადღება.

როგორც ცნობილია, ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I-მა (861-868 წ.წ.) შეძლო ქართლის შემოერთება. ეტყობა, ამ მოვლენაში აქტიურად მონაწილეობდა მარგვეთის ერისთავი რატი ბაღვაში, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ, ამის შემდეგ, თითქმის 4 საუკუნის განმავლობაში, ბაღვაშები აღმოსავლეთ საქართველოშიც ფლობდნენ კლდეკარის საერისთავოს, ორბეთს, სკვირეთს და ატენს და, ფაქტობრივად, ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავებს წარმოადგენდნენ ქვემო ქართლში.

ბაღვაშების საგვარეულოს თავკაცებში, ძირითადად, ორი სახელი ფიგურირებს, რატი და ლიპარიტი.

როდიდან გახდნენ ბაღვაშები მარგვეთის საერისთავოს მფლობელები, უცნობია, მაგრამ სავარაუდოა, ეს მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზური დინასტიის წარმომადგენელი მოვიდა.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლებელია, ბაღვაშები ლაზიკის სამეფო ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ, ან მათი ნათესავები.

ისტორიიდან ცნობილი არ არის, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ისინი ეგრისის სამეფოში ლაზური დინასტიის ზეობის ეპოქაში, მაგრამ, ეგრისის სათავეში აფხაზური დინასტიის მოსვლიდან (VIII საუკ.) თითქმის 4-5 საუკუნის განმავლობაში, ბაღვაშები უაღრესად გავლენიან ფეოდალებად ითვლებოდნენ.

ალბათ ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ IX საუკუნის ბოლოს ეგრის-აფხაზეთის მეფის მიერ ქართლის თავის გავლენის ქვეშ მოქცევის ეპოქიდან, სწორედ ბაღვაშები მოგვევლინენ კლდეკარის, ორბეთის, სკვირეთისა და ატენის მფლობელებად, რომელთა ხელშიც კლდეკარის საერისთავო ერთ-ერთი ძლიერი საერისთავო გახდა მთელ სამეფოში.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ბაღვაშები ედგნენ მხარში აფხაზთა მეფეებს და მათ შორის არავითარი დაპირისპირება არ იყო, მაგრამ ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოს III-ის მიერ თავის მემკვიდრედ დისწულის, ბაგრატ III-ის გამოცხადების შემდეგ, მით უმეტეს, მისი ეგრის-აფხაზეთის მეფედ გახდომის შემდეგ, აშკარად გამოიკვეთა ბაღვაშების ოჯახის დაპირისპირება ბაგრატ III-სთან.

ის, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფე ბაგრატ III (978-1014 წ.წ.) თითქმის 32 წელი მოუნდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას, ამაში გამოკვეთილად უარყოფითი როლი, სწორედ, მისმა ერისთავმა ქვემო ქართლში, რატი I ბაღვაშმა ითამაშა, ვინაიდან ის, ფაქტობრივად, წინააღმდეგი აღმოჩნდა, ბაგრატ III ერთიანი საქართველოს მეფე გამხდარიყო.

მართალია, მეცნიერები მიიჩნევენ, თითქოს ბაღვაშები საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ, ვფიქრობ, ამის ერთმნიშვნელოვნად თქმა ძალიან ძნელია – სავარაუდოა, რომ მათ ენდომებოდათ საქართველოს გაერთიანება, მაგრამ, ეტყობა, თვითონ ჰქონდათ პრეტენზია ერთიანი საქართველოს მეფობაზე. მით უმეტეს, ეს ჩვეულებრივი საქციელი იყო ქართველი ფეოდალების მხრიდან.

სხვათა შორის, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბაღვაშების მონაწილეობას აკვირდები, შეიმჩნევა გარკვეული მომენტები, რომლებიც მათ მოღვაწეობას დადებით ასპექტში წარმოადგენენ.

როგორც **"ქართლის ცხოვრება"** გვამცნობს, გახდა რა ბაგრატ III ეგრის-აფხაზეთის მეფე (978 წ.), გარკვეული დროის შემდეგ, თითქოს გადაწყვიტა ქვემო ქართლში გაურჩებული ერისთავის, რატი I ბაღვაშის დასჯა, რისთვისაც ჯარი გაგზავნა მამამისის, გურგენის მეთაურობით.

თურმე, ბაგრატ III-ის მტრებს ჩაუგონებიათ დავით III კუროპალატისათვის, თითქოს ბაგრატ III ბაღვაშის დასჯას კი არ აპირებდა, არამედ განზრახული ჰქონდა მისი განადგურება. დავით III კუროპალატი დაკავშირებია ბაგრატ III-ეს ბაბუას, სამხრეთ ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ეს და მათ ერთიანი ძალით დაუმარცხებიათ ბაგრატ III-ს ჯარი, რომელიც, ბუნებრივია, ძირითადად, ლაზმეგრელებისაგან შესდგებოდა.

ბაგრატ III-ს თავისი ურჩი ერისთავის, რატი I ბაღვაშის დასჯა ჰქონდა განზრახული თუ იმერ-ტაოს კურაპალატის დავით III-ს დამორჩილება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ აქ ერთი გარემოება იკვეთება – გამორიცხულია რატი I ბაღვაშს არ გაეგო, რომ ბაგრატ III-ს ჯარსა და დავით III კურაპალატისა და ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ის ერთიან ჯარს შორის მოხდა შეტაკება. მით უმეტეს, დავით III-ის საკურაპალატო იმერ-ტაო და რატი I-ის საერისთავო გვერდი-გვერდ იმყოფებოდნენ.

თუ მას არ ენდომებოდა საქართველოს გაერთიანება, შეეძლო მხარში ამოდგომოდა ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგეებს და იგი საბოლოოდ გაენადგურებინათ, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, მაშინ, როდესაც, ბაგრატ III მისმა ბაბუამ ბაგრატ II-ემ არ დაინდო.

ჩანს, რატი I-ბაღვაშს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ბაგრატ III-ის განადგურება გაურკვეველი დროით გადადებდა საქართველოს გაერთიანებას, რაც მას დაუშვებლად მიაჩნდა.

– როდესაც ბაგრატ IV მეფე გახდა (1027-1072 წ.წ.), ზოგიერთმა ქართველმა ფეოდალმა მისი მცირეწლოვანობით ისარგებლა და თავისი ორგული ბუნება გამოავლინა.

გარდა იმისა, რომ მათ ბიზანტიელებს გადასცეს ციხეები, კეისარს სთხოვეს, გამოეგზავნა ჯარი და დახმარებოდა მათ ბაგრატ IV წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ მაშინ გამოავლინა რატი ბაღვაშმა დიდი ერთგულება სამშობლოსადმი, როდესაც ქვემო ქართლში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბიზანტიელებს და აიძულა ისინი, დაეტოვებინათ საქართველოს საზღვრები.

ამით მან საქართველოს დამოუკიდებლობა გადაარჩინა.

– ყოველ შემთხვევაში, ბაღვაშების ოჯახი მხარში ედგა ბაგრატ IV-ს, მაგრამ შემდგომში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

ჯერ იყო და, ლიპარიტ ბაღვაშმა არაბი ამირა შეიპყრო და ბაგრატ IV-ს ჩააბარა. ფაქტობრივად, მან მისცა შანსი მეფეს, თბილისი არაბებისაგან გაენთავისუფლებინა, მაგრამ მეფემ ეს ვერ გაბედა და ამირა გაანთავისუფლა.

შემდგომში, ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით, თბილისი ალყაში მოაქციეს (1307 წ.) და რეალურად შეიქმნა სიტუაცია, თბილისი განთავისუფლებულიყო არაბებისგან, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაშის მტრებმა დაარწმუნეს ბაგრატ IV, რომ თუ ის თბილისის განთავისუფლებას შესძლებდა, შესაძლებელი იყო ლიპარიტ ბაღვაშს პრეტენზია განეცხადებინა მეფობაზე, რაც მეფემაც დაიჯერა, ის ფარულად მოურიგდა ამირას და თბილისი ისევ არაბების ხელში დარჩა.

ძნელია იმის თქმა, რა ჯობდა, თბილისი არაბებისაგან გათავისუფლებულიყო თითქმის 50 წლით ადრე და ქვეყნის სათავეში ბაღვაშები მოსულიყვნენ, თუ თბილისი ისევ არაბების ხელში დარჩენილიყო და მეფე ისევ ბაგრატ IV ყოფილიყო, მაგრამ ამ მოვლენამ ერთმნიშვნელოვნად განაპირობა ბაღვაშების მეფესთან დაპირისპირება, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს გაგრძელდა.

იმდენად გამწვავდა ურთიერთდამოკიდებულება მეფესა და მის ერისთავ შორის, რომ ბაგრატ IV იძულებული გახდა, დახმარება ეთხოვა ბიზანტიის კეისრისათვის, რომლის მხარესაც დადგა ლიპარიტ ბაღვაში.

თითქოს კეისარმა, მართლაც, შეძლო მათი შერიგება, მაგრამ ეს უფრო პირობითი იყო. ფაქტობრივად, მათი ურთიერთდაპირისპირება გაგრძელდა.

გიორგი II-ის (1072-1089 წ.წ.) მეფობის დასაწყისში, მას დიდებულები აუჯანყდნენ, რისი სულისჩამდგმელიც ლიპარიტ ბაღვაშის შვილი – ივანე აღმოჩნდა. ნიანია ქვაბულისძემ ქუთაისი გაძარცვა და ქუთაისის ციხე წაართვა მეფეს, სვანეთის ერისთავმა სამეგრელო დაარბია, ხოლო ივანე ბაღვაშმა, კახეთის მთავართან ერთად, ფაქტობრივად, ქართლი დაიპყრო.

ანზორ შონია,
"ფაზისის"
აკადემიის ნამდვილი წევრი

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები

სან-პაულუ, ბრაზილია

დაარსებულია 1935 წელს.
სტადიონი: მორუმბი, 150.000 მაყურებელი.
სან-პაულუს შტატის 17-გზის ჩემპიონი;
ბრაზილიის 4-გზის ჩემპიონი, ასევე მოგებული აქვს რიო სან-პაულუს ტურნირი;
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1992 და 1993 წლებში;
ლიბერტადოსის თასის მფლობელი 1992 და 1993 წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს სპორტული პრესა დღე და ღამ უძღვნიდა დითირამბებს და აღმერთებდა ევროპულ ფეხბურთს, 1992 და 1993 წლის სპორტული სეზონის შედეგებით **"სან-პაულუმ"** მთელ მსოფლიოს დაანახა, თუ ვინ იყო ყველაზე ძლიერი სპორტული გუნდი მსოფლიოში. სწორედ ამ წლებში დაამარცხეს ფინალურ შეხვედრებში ბრაზილიელებმა ევროპის უძლიერესი კოლექტივები **"ბარსელონა"** და **"მილანი"** და სავსებით კანონიერად დაეუფლნენ **საკონტინენტთაშორისო თასს და ლიბერტადოსის თასს.** ამავე დროს, **"სან-პაულელებმა"** მთელ მსოფლიოს დაანახეს, თუ როგორი ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ ბრაზილიის საფეხბურთო კლუბებში. ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი გახლდათ **"სან-პაულუს"** ნახევარმცველი რაი (1986 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ვარსკვლავის სოკრატესის უმცროსი ძმა), რომელიც 1993 წელს საკმაოდ დიდ თანხად შეიძინა ფრანგულმა გუნდმა **"პარი სენ-ჟერმენმა"**. ბრაზილიური გუნდის ორმაგმა გამარჯვებამ დიდად განამტკიცა გუნდის მწვრთნელის (1982-1986 წლებში ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის) ტელე სანტანას ავტორიტეტი, რომელიც მალე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელად იქნა აღიარებული. იგი დღესაცაა მიჩნეული ფეხბურთის ყველაზე პრაგმატულ მწვრთნელად და ანალიტიკოსად.

"სან-პაულუ" შედარებით ახალგაზრდა საფეხბურთო კოლექტივია. იგი ჩამოყალიბდა 1935 წელს, როცა **"რივერ-პლეიტი"**, **"პენიაროლი"** და სამხრეთ ამერიკის სხვა წამყვანი კლუბები ანგარიშგასაწევ ძალას და დიდ ავტორიტეტებს წარმოადგენდნენ სამხრეთამერიკულ ფეხბურთში. **"სან-პაულუ"** შეიქმნა ორი გუნდის – **"კ.ა.პაულისტანოსა"** და **"ა.ა.პალმეირასის"** შერწყმის შედეგად. მაშინ გუნდის გამოკვეთილი ლიდერი გახლდათ პაულუ მაჩადო დე კარვალიო, რომელიც მოგვიანებით ბრაზილიური ფეხბურთის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელად დაინიშნა.

ათი წლის განმავლობაში **"სან-პაულუ"** ქვეყნის უძლიერეს საფეხბურთო გუნდად იქცა. მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში იგი ხუთჯერ გახდა შტატის ჩემპიონი. სწორედ მაშინ შეიძინა გუნდმა არგენტინელი ინსაიდი ანტონიო სასტრე. სწორედ გუნდის გამარჯვებებისაკენ სწრაფვამ განაპირობა ის, რომ ქალაქში აშენდა იმ დროისათვის ყველაზე დიდი სტადიონი **"მორუმბი"**, რომელიც 150.000 მაყურებელს იტევდა.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში **"სან-პაულუმ"** ლიდერობა **"სანტოსს"** გადააბარა. 1974 წელს იგი პირველად გავიდა ლიბერტადოსის თასის გათამაშების ფინალში, სადაც დათმო მატჩი არგენტინულ **"ინდეპენდენტესთან"**. მაგრამ 1980 წელს, როცა გუნდის მწვრთნელად დაინიშნა ტელე სანტანა **"სან-პაულუმ"** კვლავ დაიბრუნა ჩვეული ლიდერობა და სათავე დაუდო ახალი წარმატებების ერას. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიური გუნდი სისტემატურად ჰყიდდა თავის ძლიერ ფეხბურთელებს (მაგალითად, მცველი რიკარდო როჩა შეიძინა მადრიდის **"რეალმა"**), მან ოთხი სეზონის განმავლობაში სამჯერ მოიპოვა შტატის ჩემპიონობა. კლუბი ფულს არ იშურებდა გუნდის განვითარებისათვის, რამაც მალე მოიტანა სასურველი შედეგი.

1993 წელს **"სან-პაულუმ"** საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ფინალში დაამარცხა ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი **"მილანი"** და ეს არავის გაკვირვებია, რადგან ბრაზილიელებმა მართლაც შესანიშნავი თამაში აჩვენეს და დაამტკიცეს, რომ მათი გამარჯვება სრულიადაც არ იყო შემთხვევითი. ეს გახლდათ მართლაც ულამაზესი მატჩი, რომელშიც ნამდვილი მსოფლიო კლასის ფეხბურთი აჩვენეს ბრაზილიელმა კაფუმ და იტალიელმა მასარომ.

ამრიგად, **"სან-პაულუ"** იყო პირველი საფეხბურთო კლუბი, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესი საფეხბურთო კლუბის ტიტული.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– უკაცრავად, ქალბატონო, რამდენი წლის ხართ?

– ორმოცს ვუახლოვდები.

– რომელი მხრიდან?

* * *

სტუდენტები ლექტორს ეკითხებიან:

– რა განსხვავებაა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის?

– კაპიტალიზმის დროს ადამიანი ადამიანისთვის მგელია, სოციალიზმის დროს კი – ამხანაგი მგელი.

* * *

ღამე გლეხს ფანჯარაზე უკაკუნებენ:

– უკაცრავად, თქვენ შეშა გჭირდებათ?

– გიჟი ხომ არა ხარ, რა დროს შეშაა ამ შუადამეს. არა, არ მჭირდება!

დილით გლეხი იღვიძებს და ხედავს, რომ ეზოში შეშა აღარ არის.

* * *

ბრძნული გამონათქვამია: "მესამე ბოთლი გაცილებით ადვილი დასალევია, ვიდრე პირველი ჭიქა".

* * *

მიხოს კოჭლი შვილი ჰყავდა, რომელმაც ამოიჩემა – ომში უნდა წავიდეო.

– დაეგდე სახლში, შე ვირიშვილო! – უყვირა მიხომ, – აქ მე უნდა მანერვიულო, და იქ სნაიპერი აწვალო?!

ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ავარიამ კინაღამ შეიწირა

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი მეუღლის დანაშაულს ხელს აფარებს?

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ირაკლი კლიმიაშვილი 2010 წლის დასაწყისში, დილის 6 საათზე, უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც მას საფეხბურთო კლუბ „ჩერნომორეცში" ელოდნენ, მაგრამ ავტოავარიის გამო ეს გამგზავრება ვერ შედგა. წითელ შუქნიშანზე გაჩერებულს დიდი სისწრაფით მომავალმა მანქანამ უკნიდან დაარტყა და „შოდა" 20 მეტრით გაისროლა. ავტომანქანის საჭესთან მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს უფროსის – ალექსანდრე მაისურაძის მეუღლე იჯდა.

ქალბატონს შემთხვევის ადგილი მაშინვე არ მიუტოვებია. როგორც თვითმხილველი ამბობს, მას თავდაპირველად დამტვრეული მანქანის ერთ-ერთი მგზავრი, ირაკლი კლიმიაშვილი, თურმე გარდაცვლილი ეგონა, რადგან ამ უკანასკნელს თავიდან სისხლი სდიოდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ ორივე დაზარალებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა და საქმეც **„გასკდა"**. საავადმყოფოში გადაყვანილი კლიმიაშვილი კრიტიკულ განყოფილებაში მოათავსეს და თავზე სამი ნაკერი დაადეს. პირველადი დიაგნოზი – ტვინის შერყევა და გულმკერდის მალების დაზიანება იყო.

ირაკლი კლიმიაშვილი საკმაოდ ცნობადი სახეა, თანაც კრიტიკულ განყოფილებაში მორიგე მედდა მისი მეგობარი აღმოჩნდა და ეს ამბავიც სწრაფად გახმაურდა. რესპუბლიკურ საავამდყოფოში პატრულის თანხლებით თვით ალექსანდრე მაისურაძეც კი მივიდა. როდესაც კლიმიაშვილის მეგობრები დაინტერესდნენ მომხდარით, პატრულმა ისინი ღიმილით დაამშვიდა, არაფერი მომხდარაო.

სინამდვილეში კი მოხდა ის, რომ კლიმიაშვილმა მიიღო ტვინის შერყევა, დაუზიანდა ხერხემლის მალები და საფრთხის წინაშე დადგა მისი სამომავლო გეგმები, რომელზეც იგი დიდ იმედებს ამყარებდა.

„ნამდვილად დასაფასებელია", რომ ქალბატონმა ყიფიანმა შემთხვევის ადგილი არ მიატოვა და დაზარალებულს საავადმყოფოშიც გაჰყვა, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ ეს დანაშაული მას, უხეშად რომ ვთქვათ, ხახვივით შერჩება. როგორც კლიმიაშვილების ახლობელი ამბობს, ალექსანდრე მაისურაძე პირიქით – შეტევაზე გადმოვიდა და სასწრაფოდ გაარკვია მანქანის ორივე მგზავრის ბიოგრაფია.

„რისი გაგება სურდა, არ ვიცით, ახალგაზრდა სპორტსმენ ბიჭებს „შავ ლაქებს" ვერ აღმოუჩენდნენ, ფაქტია; მაშ, რა აინტერესებდათ? მისი ცოლის დანაშაულის აქეთ გადმობრალებას აპირებდა. როგორ შეიძლება წითელზე გაჩერებულმა მანქანამ მოძრაობის წესი დაარღვიოს... ისეთი ძალით აქვს დარტყმული მანქანას, უკან ვინმე რომ მჯდარიყო, უარესი შედეგით დასრულდებოდა. როგორც გავიგეთ, ეს ქალბატონი, დაბადების დღიდან ბრუნდებოდა, სავარაუდოდ, ნასვამიც იყო და მობილურზეც ლაპარაკობდა", – ჰყვება კლიმიაშვილის ახლობელი.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ პოლიციის მაღალჩინოსნის მეუღლეს საპატრულო პოლიცია არც ნასვამობაზე შეამოწმებდა და არც ჯარიმას გამოუწერდა. ამის გასარკვევად ჟურნალისტი მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ალექსანდრე მაისურაძესთან დაკავშირებას, თუმცა იმ მობილურ ნომერზე ვინც გვპასუხობდა, ეუბნებოდა, რომ მაისურაძესთან ვერ დააკავშირებდა, რადგან ამის უფლება არ ჰქონდა. მან მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს პრესსამსახურთან დაკავშირებაზეც უარი უთხრა, პრესსამსახურის ადგილი ვაკანტურიაო. მაისურაძესთან დაკავშირება სცადეს მისი მისაღების ტელეფონის საშუალებითაც, მაგრამ ამაოდ. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს – ზურა გვენეტაძეს დაუკავშირდა. მასთან დარეკვა ადვილი არ გეგონოთ, დაახლოებით ლატარეაში ჯეკპოტის მოგების ტოლფასია, თუ მან მობილურს უპასუხა. თხოვა, რომ მაისურაძესთან დაეკავშირებინათ. როცა გაიგო, რა აინტერესებდა, გაგირკვევთო, დაპირდა და ტელეფონი საერთოდ გათიშა. ამის შემდეგ უშედეგოდ ცდილობდა მასთან დაკავშირებას.

ავარიის შედეგად სანდრო მეტრეველის კუთვნილი ავტომობილი **„შკოდაც"** დაიმტვრა. ეს ავტომობილი ცალ-ცალკე გამოჩარხული ნაწილებით არის აწყობილი და საკმაოდ სოლიდური თანხაც დაუჯდა მის მფლობელს. ამ ავტომობილის საფასურს **„კანონდამცველის"** ოჯახი რომ არ გადაიხდის, ეჭვი არაა.

უკრაინაში წასასვლელად გამზადებული და საავადმყოფოს კრიტიკულ განყოფილებაში გონს მოსული კლიმიაშვილი შოკში ჩავარდნილა, როცა ექიმებმა უთხრეს, რომ ავარიის გამო ვერსად ვერ გაემგზავრებოდა.

„წვეთოვანიც კი მოიგლიჯა, გამიშვით, უნდა წავიდეო. ექიმებმა თავიდან იფიქრეს, გაგიჟდაო; მადლობა ღმერთს, რომ უფრო სერიოზული დაზიანებები არ აქვთ. ფეხბურთი რომ ითამაშო, ჯანმრთელი უნდა იყო, ახალგაზრდებს მომავალს უნგრევდა, ასე გამოდის. ირაკლი ფეხბურთით ცხოვრობს და ეს მისი მომავალია. პოლიციის უფროსის ცოლი დაეჯახაო, გამოდის, რომ პასუხსაც არავინ აგებს ამის გამო", – ამბობს კლიმიაშვილების ახლობელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა იმ მოტივით, რომ მაისურაძე **„გამოცდილი „კაგებეშნიკია"** და შარი არ მომდოსო.

უკრაინულმა მხარემ გაიგო კლიმიაშვილის ავარიის შესახებ, მიუხედავად ამისა, მასზე უარი მაინც არ თქვა. მათი დაჟინებული მოთხოვნით, ფეხბურთელი სამშობლოდან ნაკერებითა და ტრავმით გაემზგავრა და იმედია, წარმატებებს მიაღწევს.

რაც შეეხება მაისურაძის ცოლს, ივლის, ალბათ, ისევ ძვირადღირებული ავტომობილებით, საჭესთან მობილურითაც ილაპარაკებს, მერე რა, რომ მოძრაობის წესებსაც თამამად დაარღვევს, ის ხომ პოლიციის სამმართველოს უფროსის ცოლია...

ლიზა დოლიძე

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27